# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი სამშაბათი 11 სექტემბერი 2007 №209 (3132) ფასი 50 თეთრი

# ჩვენი მსოფლიოს დღე

დღეს საქართველო იწყებს მსოფლიოს თასს.

საბრძოლო შემადგენლობით, დაუნანებლად და უკანმოუხედავად გადის არგენტინის წინააღმდეგ.

არგენტინა არის ღონიერი, საფრანგეთთან გამარჯვებული, მოხერხებული და ერთგვარად ვერაგი გუნდი.

საქართველოს ნაკრების კაპიტანმა თქვა, რომ გუნდი მსოფლიოს თასზე თავის შესანახად არ ჩასულა და რომ ყველა თამაში მისთვის ერთია. ეს ვაჟკაცური და ღია ნათქვამია.

ყველამ ვიცით რაგბის დონეთა და ძალთა აგებულება და გულში ყველას გვაქვს, რომ თავის ჯგუფში საქართველომ ნამიბიას უნდა სძლიოს. ოღონდ იმის თქმა, მსოფლიოს თასზე იმისთვის წავსულვართ, რომ ნამიბიას მოვუგოთ და ჩვენი პირველი სამსოფლიოსთასო მოგება ჩავიწეროთ, სისულელეა. იქ განუზომლად მეტისთვის ვართ. ამაში ეგებ მოგება სულაც არ იგულისხმება, არამედ საუკეთესოს წარმოჩენა — საუკეთესოს ჩვენება, დაუვიწყარი წამების შექმნა.

ამიტომ: წინ საქართველო! და ერთად! როგორც რაგბის წესია.

IRB RUGBY WORLD CUP 2007 FRANCE

# წინ საქართველო! და ერთად! როგორც რაგბის წესია



# მე მინდა საქართველო!



## კლაუს ტოპმიოლერმა სურვილი საბოლოოდ გაამხილა და აზერბაიჯანში გაფრინდა

ინტერვიუ საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელთან იხილეთ მესამე გვერდზე

# რევოლუცია მოდის!




სფფ-ის პრესსამსახური

რევაზ არველაძე, გოგი ქავთარაძე, უჩა უგულავა და დიმიტრი რამიშვილი

## საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრები მოილია და ჩემპიონატს გადასწვდა

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში პრესკონფერენცია გაიმართა. ჟურნალისტების წინაშე ფედერაციის გენერალური მდივანი უჩა უგულავა და ვიცე-პრეზიდენტები, გოგი ქავთარაძე, რევაზ არველაძე და დიმიტრი რამიშვილი წარდგნენ. პრესკონფერენციას ვერ დაესწრო პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი — ის ესპანეთშია, სადაც დღეს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მატჩს დაესწრება. ფედერაციის ჩინოსნებმა არა მარტო საქართველოს ნაკრებზე, არამედ ეროვნულ ჩემპიონატსა და მის მომავალ განვითარებაზე ისაუბრეს...

**გოგი ქავთარაძე:** უკრაინასთან მატჩის წინ დაგპირდით, რომ გაიმართებოდა პრესკონფერენცია, რომელზეც ჩვენი საქმიანობის თაობაზე ვისაუბრებდით და სწორედ ამისთვის შევიკრიბეთ ახლა, თუმც მანამდე მინდა, რამდენიმე სიტყვით შევეხო უკრაინასთან მატჩს. ჩვენ ყოველთვის მოგება გვინდა, მაგრამ უკრაინასთან თამაშის სცენარიდან გამომდინარე, ფრე წარმატებად შეიძლება ჩავთვალოთ. საკამათო არ არის, რომ ხარისხი გასაუმჯობესებელია. დიდი მადლობა ბიჭებს. ის პრეტენზიები, არც მათთან გვქონდა, თავდადებით გამოასწორეს. რაც მთავარია, კლაუს ტოპმიოლერმა მოიგო მეორე ტაიმი, რაც ასე ყბადაღებული თემა იყო პრესისთვის. ასევე ნათლად გამოჩნდა, რომ ფეხბურთმა მეგობრობა არ იცის და გარიგებასთან დაკავშირებული „ბინძური ჭორი", რომელიც მატჩამდე გავრცელდა, სრული უაზრობა იყო...

**რევაზ არველაძე:** არავისზე ნაკლებად არ შეგვტკივა გული, ასეთი შედეგები რომ გვაქვს. ფედერაცია ვალდებულია, ყველა ნაკრები იყოს ძლიერი და ამისთვის ყველაფერს ვაკეთებთ...

–ყოფილა შემთხვევები, როდესაც მეტოქეს ვაჯობეთ და ქულა ვერ ავიღეთ. სულ ორი თამაში მახსენდება, პირიქით რომ მოხდა — ერთი ალენ ჟირესის დროს ალბანეთთან ცუდად ვითამაშეთ და მოვიგეთ, მეორე შაბათს უკრაინასთან ფრედ დავასრულეთ. ხარისხი გასაუმჯობესებელია. რაც შეეხება გარიგებას, უკრაინა მეგობარი ქვეყანაა და ასე შემდეგო, ჩვენთვის არც საფრანგეთი, იტალია და შოტლანდია არიან უცხოები.

*სანაკრებო თემაზე საუბარი ამით მორჩა და ფედერაციის ხელმძღვანელობა ჩემპიონატსა და მის სამომავლო განვითარებას გადასწვდა...*

**დიმიტრი რამიშვილი:** ნაკრებში ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებმა იმატა. რამდენიმემ უკრაინასთან ითამაშა, აზერბაიჯანთან მატჩისთვის კი მათი რიცხვი გაიზრდება — ეს ტოპმიოლერმაც აღნიშნა და ვფიქრობ, სწორი ნაბიჯია, აზერბაიჯანთან მატჩი საუკეთესო ტესტი იქნება...

–ეროვნულ ჩემპიონატს სტიმულს ისიც შემატებს, რომ სექტემბერში კონტრაქტს გავაფორმებთ მედიაუფლებების გაყიდვის თაობაზე. მიმაჩნია, რომ ეს გრანდიოზული ნაბიჯია ქართულ საკლუბო ფეხბურთში. მომზადდება საინტერესო პროგრამები, ანალიტიკური გადაცემები... დეტალურად გაშუქდება კლუბების საქმიანობა, ნაჩვენები იქნება საინტერესო მომენტები. ჩვენი ძირითადი პარტნიორი იქნება საზოგადოებრივი არხი, ვიმუშავებთ „რუსთავი 2"-თან, ახლა საუბრები მიდის ტელეკომპანია „იმედთან" და „მზესთან". ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს საქართველოში ფეხბურთის განვითარებას. ამ პროექტზე ბრიტანელი და ჰოლანდიელი სპეციალისტები მუშაობენ და უკვე სექტემბრის ბოლოს მაყურებელი ნახავს მათ მიერ მომზადებულ გადაცემებს. საამისოდ საჭირო ტექნიკა უკვე შეძენილია და მხოლოდ ექსპლუატაციაშია გასაშვები.

**უჩა უგულავა:** სექტემბრის ბოლოს დასრულება ბრიტანული კომპანია FMMI-ის მიერ შემუშავებული პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქართული ფეხბურთის განვითარებას. მისი დასრულების შემდეგ ხელთ გვექნება საფუძვლიანად შესწავლილი ეკონომიკური გათვლები. ეს ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის დიდი ბიძგი კი არა, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ესაა რევოლუცია ქართულ ფეხბურთში!..

...2008 წლიდან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური სპონსორი მძლავრი ქართულ-უცხოური კომპანია იქნება. მასთან სამწლიან კონტრაქტს გავაფორმებთ და მისი პრეზენტაცია შოტლანდიასთან მატჩამდე მოხდება...

...მძლავრი სპონსორი საშუალებას გვაძლევს, რომ 2008-09 წლების ჩემპიონატის დასრულების შემდეგ კლუბებს დაკავებული ადგილების მიხედვით სოლიდური თანხები გადავცეთ...

...საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და პროფესიული ფეხბურთის ლიგა ის ორგანიზაციები არიან, რომლებიც ქართული ფეხბურთის განვითარებაზე ზრუნავენ და ამის დაკნინება არ შეიძლება. იგივე გენერალური სპონსორის მოძიება მუხლჩაუხრელი შრომის შედეგია...

...სახელმწიფოსთან ერთად მზადდება პროექტი, რომელიც ითვალისწინებს 8 სტადიონის რეკონსტრუქციას. ყველა მოედნისთვის ინდივიდუალური პროექტი მუშავდება. ბათუმში ახალი აიგება, რეკონსტრუქციები ჩაუტარდებათ ქუთაისში, ფოთში, ზესტაფონში, თელავში, ბოლნისში, ბორჯომსა და ახალგორში — ყველა მათგანი უეფას სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს. გეგმაშია „ამერისა" და „არმაზის" სტადიონების რეკონსტრუქციაც. ორ სტადიონს ზუგდიდსა და გორში მეპატრონეები გააკეთებენ. ეს პროექტი 2008 წლის გაზაფხულისთვის უნდა დასრულდეს. სავარაუდოდ, ახალ ჩემპიონატს კლუბები განახლებული სტადიონებით შეხვდებიან...

...აჭარაში დასრულდა რეგიონალური ფედერაციის ოფისის მშენებლობა, იგივეს ვაპირებთ თელავსა და გორში. ოფისის მშენებლობა დროებით შეჩერებულია ზუგდიდში — სამეგრელოს ხელმძღვანელობა უკეთესი ოფისის აშენებას გეგმავს და ამის თაობაზე სასაუბროდ ამ დღეებში მხარის გუბერნატორ ზაზა გოროზიას შევხვდები...

...იმერეთში დასრულდა მწვრთნელთა ლიცენზირება, რამდენიმე ათეულმა მიიღო C ლიცენზია. იგივე პროცესი სამეგრელოში უახლოეს მომავალში დაიწყება...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ეს საქართველო ბაქოში

**საქართველოს** ეროვნული გუნდი ხვალ აზერბაიჯანელებს ამხანაგურ გაეჯიბრება. მატჩი 21 საათზე „ტოფიკ ბახრამოვზე" გაიმართება.

კლაუს ტოპმიოლერმა სიტყვა შეასრულა და აზერბაიჯანში ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებიც მიჰყავს.

***მეკარეები:*** *გიორგი ლომაია (უგუნდო), ნუკრი რევიშვილი (რუბინი, რუსეთი), გიორგი მაკარიძე (დინამო);*

***მცველები:*** *მალხაზ ასათიანი (ლოკომოტივი, რუსეთი), ოთარ ხიზანეიშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), დავით ლომაია, ალექსანდრე კვახაძე (ორივე ვიტ ჯორჯია), ილია კანდელაკი (კარლ ცაისი, გერმანია), ლაშა სალუქვაძე (რუბინი, რუსეთი);*

***ნახევარმცველები:*** *ლევან ცქიტიშვილი (უგუნდო), ჯაბა კანკავა (დნიპრო, უკრაინა), გიორგი დეკანოსიძე, დავით ბოლქვაძე, გრიგოლ დოლიძე (ყველა ამერი), ლევან ყენია (ლოკომოტივი);*

***თავდამსხმელები:*** *ოთარ მარცვალაძე (ზაკარპატიე, უკრაინა), ლაშა ჯაკობია (მეტალისტი, უკრაინა), დიმიტრი ტატანაშვილი (ამერი).*

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# უკრაინა დათრგუნულ საქართველოს

საქართველოს ნაკრებმა უკრაინასთან 1:1 ითამაშა, გერმანული „ფრაიბურგის" მცველი ოთარ ხიზანეიშვილი კი ამ შეხვედრაში სათადარიგოთა სკამზე იჯდა. ახლა იგი კვლავ ნაკრებთან ერთადაა და აზერბაიჯანთან ამხანაგურ მატჩში სათამაშოდ ემზადება... ოთარს გუშინ ეროვნული ნაკრების სალამოს ვარჯიშამდე ვესაუბრეთ...

— საქართველო — უკრაინის მატჩს როგორ შეაფასებ?

— წაგებაც შეგვეძლო და მოგებაც. უკრაინის ძლიერ ნაკრებთან ფრე ურიგო არაა — ყველანი კმაყოფილნი ვართ. მით უმეტეს, ლუქსემბურგთან ცუდი შედეგის შემდეგ დათრგუნულები ვიყავით.

— ლუქსემბურგი ახსენე და, რატომ ვერ მოუგეთ ამ უსუსტეს მეტოქეს?

— უამრავი მომენტი გავაცუდეთ. სულ ცოტა, 5:0 უნდა მოგვეგო, მაგრამ ეს ფეხბურთია და ასეთიც ხდება. ისე, ჰოლანდია — ლუქსემბურგის ვიდეოჩანაწერი ვნახეთ და შეიძლებოდა, ვერც ჰოლანდიას მოეგო — საბოლოოდ, ის თამაში 1:0 დამთავრდა.

— ნაკრებში რამდენიმე ახალგაზრდა გამოჩნდა — ლევან ყენია, დიმიტრი ტატანაშვილი...

— კარგი ბიჭები არიან და ფეხბურთშიც დიდი მომავალი აქვთ. მთავარია, შრომა არ დაიზარონ.

— ნაკრებს ჯგუფში სამი მატჩი დარჩა — შინ შოტლანდია და ლიტვა, სტუმრად კი იტალია. რა შედეგს უნდა ველოდოთ?

— საქართველოს ნაკრებს შოტლანდიის და ლიტვის დამარცხება შეუძლია. ჩვენ ყველა თამაშში ბოლომდე ვიბრძოლებთ — ამის პირობას მოგცემთ.

— აზერბაიჯანთან ამხანაგურ მატჩში ალბათ ითამაშებ...

— ეს ტოპმიოლერის გადასაწყვეტია. მე მზად ვარ და...

— „ფრაიბურგის" ძირითადი შემადგენლობაში კი კარგა ხანია, არ გამოჩენილხარ. რა ხდება?

— მოსამზადებელ პერიოდში ამხანაგურებში ვითამაშე, შემდეგ კი ცოტა ფეხმა შემაწუხა. ორი წელია, ტრავმებმა გამაწამა, მწვრთნელი რობინ დატიც შეშინდა და ახალი ფეხბურთელი, ჩეხი პაველ კრმასი მოიყვანა. ახლა კი ნორმალურ ფორმაში ვარ და ჩემს შანსს ველი.

**ნუკრი ლოლაძე**

## საქართველოს 19 ჩემპიონატი

### პირველი ლიგა — 4 ტური

#### აღმოსავლეთი

ნ. დინ-მერანი 2 0:1 ჩიხურა
გაგრა 2:0 ამერი 2
მეშაძრე 1:0 ოლიმპი 2
კახეთი 1:4 დინამო 2
ვიტ ჯორჯია 2 1:2 ოლიმპიკი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო 2 | 4 | 2 | 2 | 0 | 8:4 | 8 |
| ჩიხურა | 4 | 2 | 2 | 0 | 5:3 | 8 |
| მეშაქრე | 4 | 2 | 1 | 1 | 11:7 | 7 |
| ამერი 2 | 4 | 2 | 1 | 1 | 8:5 | 7 |
| გაგრა | 4 | 2 | 1 | 1 | 7:10 | 7 |
| ოლიმპიკი | 4 | 1 | 3 | 0 | 3:2 | 6 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 4 | 1 | 2 | 1 | 4:3 | 5 |
| კახეთი | 4 | 0 | 2 | 2 | 2:7 | 2 |
| ნ.დინ-მერანი 2 | 4 | 0 | 1 | 3 | 3:6 | 1 |
| ოლიმპი 2 | 4 | 0 | 1 | 3 | 1:5 | 1 |

#### დასავლეთი

ხობი 1:0 უნივერსიტეტი
მაღაროელი 3:0 სამტრედია
მეშახტე 2:1 მარტვილი
ტორპედო 2:1 ფაზისი
ზესტაფონი 2 — კოლხეთი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაღაროელი | 4 | 3 | 1 | 0 | 9:2 | 10 |
| კოლხეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 6:1 | 9 |
| მეშახტე | 4 | 3 | 0 | 1 | 8:7 | 9 |
| ზესტაფონი 2 | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 7 |
| ხობი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:6 | 6 |
| ტორპედო | 4 | 1 | 1 | 2 | 6:7 | 4 |
| უნივერსიტეტი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 4 |
| ფაზისი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:9 | 3 |
| მარტვილი | 4 | 0 | 2 | 2 | 2:4 | 2 |
| სამტრედია | 4 | 0 | 0 | 4 | 3:11 | 0 |

### ინგლისი

კონფერენსლიგა. VIII ლიგა

ბარტონი 3:1 ტორკი
სტივენეიჯი 3:0 სტეფორდი

### შვედეთი

სუპერეტა. XXIII ტური

ენჩოპინგი 1:0 დეგეფორსი
სილვია 2:4 იონკოპინგი

### ფინეთი

ვეიკაუსლიგა

გადადებული მატჩი

იარო 0:2 ტამპერე

### ირლანდია

პრემიერლიგა

გადადებული მატჩი

კორკი 4:1 დუბლინი

# ბრაზიანი ფრე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლაუს ტოპმიოლერი კმაყოფილია: მართალია, საქართველოს ნაკრებმა ვერც მერვე ურთიერთშეხვედრაში სძლია უკრაინას, მაგრამ 88-ე წუთამდე აგებდა, ასეთ დროს კი ფრის გამოჩარხვაც საქმეა. ტოპმიოლერის ხელში ნაკრებმა პირველად აილო ღირებული ქულა, ფარერები სათვალავში რომ არ ჩავაგდოთ.

საქართველოს ნაკრებმა გუშინ 18 საათზე თენგიზ სულაქველიძის აკადემიის მინდორზე ივარჯიშა, დღეს დილით 11 საათზე ბაქოში გაფრინდება, ხვალ 21 საათზე კი ტოფიკ ბახრამოვის სახელობის სტადიონზე ამხანაგური მატჩი აქვს აზერბაიჯანთან. უკრაინასთან მატჩის შემდეგ ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელი თავის კლუბში დაბრუნდა, მათ ნაცვლად კი ჰერ კლაუსმა საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშეებს უხმო...



## ტოპმიოლერს საქართველო სურს და შოტლანდიას ელის

„ერთი წუთით არ იფიქროთ, რომ ბაქოში B ნაკრებით მივდივართ. ესაა ჩვენი ეროვნული გუნდი და მიუხედავად იმისა, რომ მატჩი ამხანაგურია, ბევრ სასარგებლოს ველი" — გვითხრა ტოპმიოლერმა, რომელსაც გუშინ ტექნიკურ ცენტრ „ბასაში" შევხვდით და, ცხადია, მარტო უკრაინასთან მატჩზე არ გვისაუბრია. სათქმელი სხვაც ბევრი იყო, პრობლემები და პასუხგაუცემელი კითხვები ხომ საქართველოს ნაკრების თამაშების მუდმივი თანამგზავრია...

— უკრაინას ტოლ-სწორად ვეთამაშეთ და გარკვეულ პერიოდში უპირატესობასაც ვფლობდით. ძალიან სამწუხაროა, რომ თავიდანვე გავუშვით გოლი, რომელიც სამი ფეხბურთელის ბრალი იყო: პირველ რიგში, ლაშა ჯაკობიას გაექცა თავისი კაცი, მერე ზურაბ მენთეშაშვილმა ძელთან კუთხე ვერ ჩაკეტა და მეკარე გიორგი ლომაიაც არ გამოვიდა კარიდან. შემდეგ ჯაკობიას და მენთეშაშვილს ჰქონდათ გასატანი, მანამდე კი უკრაინელებს მომენტი არ ჰქონიათ. მათ მხოლოდ მაშინ მიეცათ შანსები, როცა ვაბანკზე წავედით, ამ დროს კი, ბუნებრივია, საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ძალაუნებურად ნაკლებს ფიქრობ. მეტოქეს იმ კონტრშეტევებიდან ერთი მაინც რომ გაეტანა, წავაგებდით. ბოლო წუთებში კი უკრაინას უკვე აღარ ჰქონდა ის კონცენტრაცია და მადლობა ღმერთს, სირაძის გოლმა ფრე მოგვიტანა. ჩვენ დავაკვირდით უკრაინელთა თითქოს უმნიშვნელო, მაგრამ გადამწყვეტ შეცდომას: სტანდარტულებისას შორეულ ძელთან კაცს არ აყენებდნენ, ამიტომაც დემეტრაძემ კუთხური სწორედ იქ ჩააწოდა და სირაძემაც იმარჯვა.

— თამაშის შემდეგ თქვით, კახა კალაძე-მალხაზ ასათიანის დაცვის წყვილი ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაშიო. კონკრეტულად, უკრაინასთან როგორ შეაფასებთ მათ თამაშს?

— უკრაინელი თავდამსხმელები გამოთიშულები იყვნენ, რითაც კალაძე-ასათიანზე ყველაფერი ნათქვამია. მიუხედავად ხანგრძლივი ტრავმისა, ასათიანი ერთ-ერთი საუკეთესო იყო მინდორზე. ამ წყვილს მომდევნო მატჩებშიც ვათამაშებ — ღმერთმა ქნას, რომელიმე მათგანი არ გამოგვაკლდეს.

— ეს კარგი, მაგრამ ზურაბ ხიზანიშვილის ადგილს სად ხედავთ? მით უმეტეს, თუ „ბლექბერნში" თამაშს დაიწყებს და ფორმას აკრეფს...

— ხიზანიშვილს ორი ყვითელი ჰქონდა, უკრაინასთან ვერ ითამაშებდა და მარტო აზერბაიჯანისთვის მისი გამოძახება საჭიროდ არ ჩავთვალეთ. მომდევნო მატჩში ზურაბს აუცილებლად გამოვიძახებთ — მას დაცვაში ცენტრშიც შეუძლია თამაში და მარჯვნივაც.

— ორი დებიუტანტი, ლევან ყენია და დიმიტრი ტატანაშვილი შეაქეთ. ალბათ, მათ დარჩენილ სამ შესარჩევ მატჩშიც გამოიძახებთ...

— ტატანაშვილმა ეროვნულ ჩემპიონატში გამოიჩინა თავი, მას ადრეც ვაკვირდებოდით და ვარჯიშებზეც ყოჩაღობდა. ტატანაშვილი ტექნიკურია, ბურთთან ახლოსაა, სწრაფია, თავით კარგად თამაშობს და თუ ორთაბრძოლებშიც უფრო გაბედული იქნება, ძალიან გამიხარდება — სამწუხაროდ, ისეთ ორთაბრძოლებში, სადაც ბურთის მოგების თანაბარი შანსია, სულ მარცხდება.

-ყენიას დიდი პოტენციალი კი ერთი წლის წინ დავინახეთ. მას ყველაფერი აქვს საიმისოდ, რათა ტოპ-ფეხბურთელი გახდეს. ლევანი ჯერ 17-წლამდელებში იყო საუკეთესო, მერე 19-წლამდელებში და ბოლოს, პოლონეთში 21-წლამდელთა მატჩშიც გამორჩეული გახლდათ. ყენიას ეროვნულში აყვანას მოგვიანებით ვაპირებდი, მაგრამ ლუქსემბურგთან ჩაგდებული მატჩის შემდეგ გაბრაზებული ვიყავი და გადავწყვიტე, უფრო ადრე მიმეცა შანსი. რისკია თუ არა, მერე გამოჩნდება, მაგრამ ახალგაზრდები უნდა შევაჩვიოთ ნაკრებს: როცა გამოჯანმრთელდება, აუცილებლად გამოვიძახებ ლევან მჭედლიძეს, მეკარე გიორგი მაკარიძე კი, გაგიმხელთ და, აზერბაიჯანთან ძირითადში იქნება.

— აზერბაიჯანში საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე კიდევ ოთხი ფეხბურთელი მიგყავთ, რომლებიც საუკრაინო მზადებისას ორმხრივ მატჩში ათამაშეთ...

— გრიგოლ დოლიძე, დავით ბოლქვაძე, გიორგი დეკანოსიძე და დავით ლომაია ერთ-ერთი გამორჩეულები არიან საქართველოს ჩემპიონატში. მათ გარდა, აქაური პირველობიდან კიდევ ოცამდე ფეხბურთელს ვაკვირდებით. ლომაიამ და კვახაძემ დამანახეს, რომ დაცვაში კარგად შეუძლიათ თამაში. დოლიძეს გამძლეობა აქვს, სწრაფია, მაგრამ უფრო მეტი აზროვნება უნდა დაატანოს. დეკანოსიძე ჩამოყალიბებული ფეხბურთელია, ნამდვილ თანამედროვე ფეხბურთს თამაშობს, ეგაა, სისწრაფეს უნდა მოუმატოს. დარწმუნებული რომ ვყოფილიყავი, დეკანოსიძე ტემპს გაუძლებდა, მას აუცილებლად გამოვიძახებდი უკრაინასთან მატჩში. ბოლქვაძე კი ჯერ არც ცქიტიშვილისა და არც კობიაშვილის კლასისაა, მაგრამ ნაკრებში დამკვიდრება შეუძლია.

— შოთა არველაძის დღესვე სრულფასოვნად შეცვლა წარმოუდგენელია, მაგრამ გამოჩნდა ცენტრფორვარდი, რომელმაც წლეულს სამი გადამწყვეტი გოლი გაიტანა ნაკრებში — როგორ თვლით, არველაძის ადგილზე სირაძე ოპტიმალური კანდიდატურაა?

— შოთას წასვლა და ცენტრფორვარდის პრობლემა რომ ერთი იქნებოდა, ეს ვიცოდით. სირაძე ნამდვილად კარგი თავდამსხმელია, ეგაა, „პადერბორნს" ცუდად მისდის საქმე, გოლი არ გაუტანია და სირაძეც ცოტა დაღონებული ჩამოვიდა ნაკრებში. ჩვენ შევეცადეთ, მისთვის განწყობა აგვემაღლებინა და გოლზე მეტად რას უნდა გაეხარებინა?! რაც შეეხება დემეტრაძესა და იაშვილს, მათგან მეტს ველოდი, ვერ აფეთქდნენ...

— ასათიანი დაცვაშია და გამთამაშებლობა ლევან ცქიტიშვილს ევალება. რამდენად კარგად ახერხებს ამას უგუნდო ფეხბურთელი?

— ცქიტო ჩვენთვის შეუცვლელია. სულ ცდილობს, რომ ბურთი ჰქონდეს, ინიციატივას და პასუხისმგებლობას იღებს, სამაგალითო პროფესიონალია.

— მათე ღვინიანიძე „მიუნხენ 1860"-ში ცენტრალური მცველია, უკრაინასთან კი ჯერ მარჯვენა მცველად დააყენეთ, მეორე ტაიმში კი საყრდენ ნახევარმცველად ახწიეთ. მისი გამოყენება სად უფრო უპრიანია?

— სასიამოვნოა, რომ მათე თავის გუნდში კვლავაც ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელია. ღონიერი და კარგი მცველია, ეგაა, ბურთის მიღებისას ნაკლებს უნდა ნერვიულობდეს. „მიუნხენ 1860"-ს ღვინიანიძის დიდხანს გამოშვება არ უნდოდა და გვთხოვეს, იქნებ ოთხშაბათს აღარ ათამაშოთო. თუმც იგი ჩვენთვისაც საჭირო კაცია და ვუთხარით, რომ ესპანეთ — საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩში ითამაშებდა. აქვე მადლობას ვუხდი „შალკეს" მწვრთნელ მირკო სლომკას, რომელმაც ტრავმიანი კობიაშვილი მაინც გამოუშვა ჩვენთან. უკრაინასთან მატჩის წინა დღეს კობი მომჯობინდა, მაგრამ თამაშის დილას გავარკვიეთ, რომ მისი თამაში მაინც რისკი იყო და მოვერიდეთ. ახლა ლევანი სრულიად ჯანმრთელია და ბუნდესლიგის მომდევნო ტურშიც იქნება.

— რაც საქართველოს ნაკრებს წვრთნით, თუ ხედავთ ისეთ სათამაშო კომპონენტს, რომლის გამოსწორებაც ვერა და ვერ ხერხდება?

— შეფიქრიანებული ვარ ამდენი ყვითელ-წითელი ბარათით. ასევე, ძალიან მინდა, ფეხბურთელები მაქსიმალურად მობილიზებულნი იყვნენ სტანდარტული მდგომარეობისას და კიდევ, რაც მაბრაზებს, ესაა ბურთის უაზროდ წინ მოგერიება, რითაც მეტოქეს შეტევას ვაბარებთ. უფრო მარტივად რომ ვთქვა, მცველები ხშირად არ ეხსნებიან მეკარეს, ჩემი ფილოსოფია კი სწორედ საკუთარი ნახევრიდან ბურთის გათამაშებით შეტევის დაწყებაა.

— საქართველოს ნაკრებმა შესარჩევში ყველაზე დასანანი მარცხი სწორედ უკრაინასთან იწვნია კიევში, ახლა კი ისინი გამწარდნენ: არ გქონიათ ის მომენტი, რომ მოპოვებულ ერთ ქულაზე მეტად უკრაინელთა დაკარგული ორი ქულა გაგიხარდათ?

— მთლად ასე ვერ ვიტყვი, მაგრამ უკრაინას რომ თბილისში ნათამაშები ფრე ძალიან შეუმცირებს შანსს, ფაქტია. ბიჭებს თამაშამდე ვუთხარი, რომ საქართველოს უკრაინასთან არასოდეს მოუგია, არადა, არაფრით ნაკლები არ ხართმეთქი. უკრაინა საქართველოზე გაცილებით დიდი ქვეყანაა და ჩვენს შეხვედრას „დავითისა და გოლიათის" ორთაბრძოლა ვუწოდე, გერმანულ პრესაში კი გაჩნდა წერილები სათაურებით, ტოპმიოლერი სენსაციას ზეიმობსო.

— ლუქსემბურთან 0:0-ის შემდეგ თქვით, რამდენიმე ფეხბურთელი ზერელედ ეკიდება ნაკრებში თამაშსო. ეს კონკრეტულად დავით კვირკველიას, დავით მუჯირს, ლადო ბურდულს, ალეკო ამისულაშვილსა და ვასილ გიგიაძეს ეხებათ?

— არ დაგიმალავთ, ამ ფეხბურთელებმა იმედები გამიცრუეს. ნაკრებში ჩამოსვლა თითოეულისთვის დიდი მუხტი უნდა იყოს, ეს უნდა იცოდნენ. ამისულაშვილსა და გიგიაძეს ვერც საკმარისი სანაკრებო დონე შევატყვე და ვერც მოტივაცია, ბურდულს, მუჯირსა და კვირკველიას კი დასაფიქრებლად დრო მივეცი.

— მალე დადგება დრო, როცა უნდა გაირკვეს: დარჩება თუ არა კლაუს ტოპმიოლერი საქართველოს ნაკრების მწვრთნელად მომდევნო შესარჩევ ციკლში. თქვენ გაქვთ ამის სურვილი? და როდის გადაწყდება თქვენი დარჩენა-წასვლის საკითხი?

— დიდი სურვილი მაქვს, მომდევნო ციკლშიც ვიყო საქართველოს ნაკრების მწვრთნელი. ამის შესახებ ოქტომბერში, შოტლანდიასთან საშინაო მატჩის შემდეგ გაცხადდება. ვფიქრობ, ჯერ საკმარისი დრო გვაქვს ყველაფრის გასაანალიზებლად. სამწუხაროდ, ტრავმებმა და უიღბლობამ მეტის საშუალება არ მოგვცა, ახლა მეხუთე ადგილისთვის უნდა ვიბრძოლოთ და ეს აუცილებლად უნდა შევძლოთ — ბოლოსწინა პოზიციაზე არ უნდა გავიდეთ.

**ილია ნანობაშვილი**
**ნინო სილაგაძე**

# გაფრენამდე

## საქართველოს ჯანი და აზერბაიჯანი


კლაუს ტოპმიოლერი და მისი რაზმი


დებიუტანტები: გრიგოლ დოლიძე და დავით ბოლქვაძე

**საქართველოს** ნაკრებმა გუშინ თენგიზ სულაქველიძის აკადემიის მინდორზე ივარჯიშა და დღეს დილით ბაქოში გაფრინდება აზერბაიჯანთან სათამაშოდ.

ვარჯიში დაახლოებით ერთ საათს გაგრძელდა და ბოლოს ორკარაც გაჩაღდა, სადაც ფეხბურთელებს მწვრთნელები, ბესიკ ფრიდონაშვილი, რალფ მინგე და ზაურ სვანაძეც დაემატნენ.

უკრაინასთან თამაშის შემდეგ თავიანთ კლუბებს დაუბრუნდნენ დავით სირაძე, ალექსანდრე იაშვილი, გიორგი დემეტრაძე, ლევან კობიაშვილი, კახა კალაძე და გიორგი შაშიაშვილი. კლაუს ტოპმიოლერს აზერბაიჯანთან გიორგი მაკარიძისა და ნუკრი რევიშვილის გამოცდა სურს და ამის გამო თბილისში დატოვა გიორგი ლომაია. ზურაბ მენთეშაშვილს კი, რომელმაც უკრაინასთან თავშეხვეული თამაშობდა, ტვინის შერყევა აქვს და ბაქოში ვერ წავა. ასე რომ, მისი გამოკლების შემდეგ სააზერბაიჯანო სია 17 ფეხბურთელამდე შემცირდა.

სამაგიეროდ, ჰერ კლაუსმა დაიმატა ამერელები, დავით ბოლქვაძე, გრიგოლ დოლიძე, გიორგი დეკანოსიძე და ვიტჯორჯიელი დავით ლომაია.

**ილია ნანოგაშვილი**



საქართველოსთან მატჩში, მას შემდეგ, რაც დავით სირაძემ ანგარიში გაათანაბრა და უკრაინელებს ავსტრია-შვეიცარიაში წასვლის შანსები შეუმცირა, სტუმართა კაპიტანმა ანდრეი შევჩენკომ თანაგუნდელი სერგეი ნაზარენკო გამოუყენებელი მომენტების გამო კინალამ დაახრჩო. ისე, ქართველებთან თავი მაინცდამაინც არც შევას გამოუჩენია და საერთოდაც, მისი ბოლოდროინდელი თამაში არც ისე შთამბეჭდავია, როგორც ადრე იყო. შევჩენკოს საქართველოსთან ნამატჩევს უკრაინელი ჟურნალისტები ესაუბრნენ...

# წყეული კუთხური

## შევჩენკომ ჯერაც არ იცის, რა მოხდა

**— მატჩამდე ბლოხინმა გვითხრა, არ გაგიკვირდეთ, თუ შევჩენკომ თბილისში არ ითამაშაო. იცოდით ამის შესახებ?**

— დიახ. საქმის კურსში ვიყავი.

**— არ გიცდიათ მწვრთნელის დარწმუნება, რომ მზად იყავით პრინციპული მატჩისთვის?**

— ამის აუცილებლობა საჭირო არ იყო. გამომიძახეს ნაკრებში და ჩამოვედი, დანარჩენი მწვრთნელის გადასაწყვეტია — ვის ათამაშებს, ვის სკამზე დასვამს და ვის განაცხადში საერთოდ არ შეიყვანს. თუ ფეხბურთელი თვლის, რომ იმსახურებს თამაშს, ვარჯიშებზე თავი ისე უნდა წარმოაჩინოს, რომ მწვრთნელს ეჭვი არ შეეპაროს. ბლოხინმა მხოლოდ წამოსვლის წინ მკითხა — ანდრეი, მზად ხარ? რაზეც დადებითად ვუპასუხე.

**— ძირითადში რომ ითამაშებდით, როდის გითხრათ?**

— მატჩის დღეს, ისევე, როგორც სხვებს.

**— და როგორ შეაფასა ბლოხინმა თქვენი თამაში?**

— ასეთი შედეგის შემდეგ ცხელ გულზე ფიქრი ძნელია. 90 წუთი ვითამაშე შეუცვლელად, ესე იგი, პრეტენზია არ უნდა ჰქონდეს.

**— თავად რას ფიქრობთ, როგორ ფორმაში ხართ?**

— იდეალურ ფორმაში ვარო, ვერ ვიტყვი, მაგრამ თბილისურმა მატჩმა დამარწმუნა, რომ სწორ გზას ვადგავარ: მობილური ვიყავი, ბურთი არ დამიკარგავს. პარტნიორებს სივრცეებს ვუქმნიდი და მომენტებიც მქონდა.

**— რამ შეგიშალათ ხელი თბილისში მოსაგებად?**

— ვფიქრობ, კონცენტრაცია არ გვეყო. როდესაც მატჩის დასრულებამდე რამდენიმე წუთია დარჩენილი და ანგარიში შენია, შესაძლოა, ცოტა მოეშვა. მაგრამ სულ უნდა გახსოვდეს, რომ მინიმალური უპირატესობისას ერთადერთი შეცდომაც დამღუპველია. აქამდე ვერ გამიგია, როგორ გამოვიმუშავეთ ის დაწყევლილი კუთხური, რომლის შედეგად ქართველებმა გოლი გაგვიტანეს.

**— თანაგუნდელებს ზედმეტი თავდაჯერება ხომ არ ჰქონდათ? დარჩენილია წუთები, საქმე გაკეთებულია...**

— ამის მსგავსი არაფერი ყოფილა, პირიქით, შესვენების შემდეგ ბიჭებს ნერვიულობა დაეტყოთ და მატჩის ბოლომდეც გაჰყვათ.

**— რითი ახსნით ამას?**

— ალბათ, შედეგზე პასუხისმგებლობით.

**— რა უნდა გააკეთოთ, რომ იტალიას მოუგოთ?**

— ყველა ჩვენგანმა 150 პროცენტით უნდა ვითამაშოთ.

**— პირადად თქვენ?**

— 300 პროცენტით თამაშის სურვილიც მაქვს და რა გამომივა, მატჩი გვიჩვენებს. იმედია, ყველაფერი კარგად იქნება.



# მუჯირმა გოლით დაისვენა

**სამარის** „კრილია სოვეტოვის“ ქართველი შემტევი დავით მუჯირი უკრაინასთან მატჩისთვის კლაუს ტოპმიოლერმა ნაკრებში არ გამოიძახა, თუმც ჩვენებურს სანაკრებო უქმობისას დრო ტყუილად არ დაუკარგავს და სამარელთა შემადგენლობაში ამხანაგურ მატჩში ითამაშა. „კრილია“ პერმის „ამკარს“ გაეჯიბრა და 1:0 მოუგო. ამ ერთადერთი გოლის ავტორი კი სწორედ მუჯირი გახდა — მან თავი 29-ე წუთზე გამოიჩინა, 65-ე წუთზე კი შეცვალეს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# სფფ-ის საკლუბო ლიცენზირების სისტემა

## საპროგრამო განცხადება (2008-09 წლების სალიცენზიო სეზონი)

**როგორც** ცნობილია, 2003-04 წლების სეზონიდან საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ახორციელებს საფეხბურთო კლუბების ლიცენზირებას უეფას საკლუბო ტურნირებისთვის. საკლუბო ლიცენზირება არის ჩვენს ქვეყანაში ფეხბურთის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი, მით უფრო, რომ 2008-09 წლების სალიცენზიო სეზონიდან იგი ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაშიც ინერგება.

ლიცენზირების სისტემის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ლიცენზირების ძირითადი პროცესის განხორციელება შეუფერხებლად, აგრეთვე, კლუბებისთვის დროული, ხარისხიანი მხარდაჭერა და მათთვის ლიცენზიის მისაღებად საჭირო სრული ინფორმაციის გადაცემა საერთო სემინარებსა თუ ორმხრივ შეხვედრებზე.

ჩვენს ამოცანას ასევე წარმოადგენს სისტემის ეფექტური მუშაობის უზრუნველყოფა. ჩვენ მოვალენი ვართ, ვმართოთ სისტემა დადგენილი დებულებების შესაბამისად. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დანერგავს საკლუბო ლიცენზირების ხარისხიანი და ეფექტური მართვის სისტემას და უზრუნველყოფს საკლუბო ლიცენზირების ხარისხის სტანდარტის მოთხოვნების დაცვას.

ამას გარდა, ჩვენ დავიცავთ სფფ-ის დებულებებს, ქვეყნის მოქმედ კანონმდებლობას და ფიფა-უეფას წესებს.

კლუბებისადმი ჩვენი მხარდაჭერის ხარისხის მუდმივად სრულყოფისა და საკლუბო ლიცენზირების ეფექტურობის დონის ამაღლების მიზნით, მაქსიმალურად ჩავრთავთ კლუბებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს სისტემის შეფასების ყოველწლიურ პროცესში.

ლიცენზირების პროცესის მაღალკვალიფიციურ დონეზე განხორციელების მიზნით, უზრუნველვყოფთ საკლუბო ლიცენზირების პროცესში ჩართული ყველა თანამშრომლის ხარისხიან სწავლებას და მათ მიერ საკუთარი ამოცანებისა და ვალდებულებების სრულად გაცნობიერებას.

ლიცენზირების პროცესში უმნიშვნელოვანესია დამოუკიდებლობისა და კონფიდენციალობის პრინციპების დაცვა, განსაკუთრებით გადაწყვეტილების მიღებისას. პირადად მე და საკლუბო ლიცენზირების ყველა მონაწილე ვალდებულნი ვართ, დავიცვათ სფფ-ში აღიარებული ეთიკური ნორმები და კონფიდენციალობისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნები.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და უშუალოდ საკლუბო ლიცენზირებაში დასაქმებული პირები მუდმივად შეუწყობენ ხელს საქართველოში საფეხბურთო ინფრასტრუქტურის განვითარებას, დაინტერესებულ მხარეთათვის კონსულტაციების გაწევითა და უეფას მოთხოვნების შესაბამისად, სწორი მიმართულების მიცემით.

ამას გარდა, ჩვენი ყველა თანამშრომელი თუ ნებისმიერი დაინტერესებული მხარე, უფლებამოსილების ფარგლებში, ინფორმირებული იქნება საკლუბო ლიცენზირების ვებგვერდის, ექსტრანეტის, ბიულეტენის თუ სხვა საშუალებით.

იმედი მაქვს, ლიცენზირების მონაწილეთა მხარდაჭერის და მივესალმები თქვენს ნებისმიერ წინადადებას სისტემის სრულყოფასთან დაკავშირებით.

*უჩა უგულავა*

*სფფ-ის გენერალური მდივანი*

# წაშალეთ დაფა!

## სერ ბობი სერ ალექსის თეორიულ შემცვლელზე



**სერ** ბობი ჩარლტონი ამტკიცებს, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელის თანამდებობაზე ალექს ფერგიუსონი როი კინმა არ უნდა შეცვალოს, რადგან ის ცუდი კანდიდატია — ალბათ იცით, რომ, მსჯელობა „მანჩესტერში“ თავკაცის შეცვლის შესახებ სრულიად თეორიულია, რადგან ფერგიუსონი ჯერ არსად მიდის.

სერ ბობიზე მოგახსენებდით... „იუნაიტედის“ ლეგენდა ამბობს, რომ მისებრ ბრიტანეთის იმპერიის რაინდის, ანუ წოდებით სერის, ალექს ფერგიუსონის მმართველობა ჯერ კიდევ სამ წელიწადს გაგრძელდება, ასე რომ, მისი ნათქვამი როი კინის შესახებ უფრო თადარიგის დაჭერაა.

„ვფიქრობ, ასეთი შეცდომა ადრეც ძალიან ბევრმა კლუბმა დაუშვა. მწვრთნელის თანამდებობა არ უნდა ჩააბარო ადამიანს მარტო იმიტომ, რომ მან ოდესლაც შენი გუნდის წარმატებაში მონაწილეობა მიიღო. თუ აშკარაა, რომ ის კარგი მწვრთნელია, კი ბატონო, მაშინ სულერთია ვინ არის, საიდან მოდის და რა ეროვნებისაა, მაგრამ ბევრი მთავარ ყურადღებას მწვრთნელობას კი არა, იმას აქცევს, იცის თუ არა ამ ადამიანმა კონკრეტული კლუბის ანი და ბანი, აქვს თუ არა მის წიაღში ფესვები ღრმად გადგმული. არადა, მე თუ მკითხავთ, ხშირად ამას სჯობია, მწვრთნელმა კლუბთან ურთიერთობა ცარიელი ფურცლიდან დაიწყოს. ახალი საქმე უნდა დაიწყოს კაცმა, რომელიც დაფას ძველი წარწერებიდან გაწმენდს“.

ამის შემდეგ კი ჩარლტონმა, რომელიც „მანჩესტერ იუნაიტედში“ დირექტორად მუშაობს, დასძინა, რომ ეს ყველაფერი, ცხადია, სადღეისო საზრუნავი არ არის.

„არა მგონია, ალექსი თანამდებობიდან წასვლას აპირებდეს, თუნდაც თეორიულად განიხილავდეს. შეხედეთ მას, ის იღიმება და დღევანდელი მდგომარეობით კმაყოფილია, ის კი არა, ბოლოს რომ ვთქვა, უნდა გადავლგერ [illegible] როგორც შემდეგ გაირკვა, მართალიც ვიყავი. [illegible] სერ ალექს ფერგიუსონია, გადადგომას ვერ დაუგეგმავ. ისე, ამბობენ, რომ თუ ის „მანჩესტერ იუნაიტედს“ ჩემპიონთა ლიგას მოაგებინებს, წასავლელად სწორედ რომ შესაფერისი დრო დაუდგება. შესაძლოა, ვინც ასე ფიქრობს, მართალიც იყოს, თუმცა თავად ალექსისთვის ეს საქციელი მეტად სენტიმენტალურია. ის მწვრთნელადაა დაბადებული და არა მგონია, უახლოესი რამდენიმე წლის განმავლობაში სადმე წავიდეს“.

და კიდევ, თუ ის, რაც ბობი ჩარლტონმა თქვა, სწორია, ანუ გუნდის მწვრთნელად მაინც და მაინც მისი ყოფილი ფეხბურთელის დანიშვნა მიზანშეწონილი არ არის, მაშინ ფერგიუსონის თანამდებობიდან წასვლის შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედის“ სათავეში არც „ბლექბერნის“ შეფ მარკ ჰიუზს უნდა ველოდოთ.

**ბაჩუნა ძიძია**



# როდის დასჯის ინგლისი რუსეთს?

**რუსეთის** ნაკრების ჰოლანდიელმა მწვრთნელმა გუს ჰიდინკმა ინგლისელებს შეუთვალა: ევროპის ჩემპიონატზე თქვენ კი არა, ჩვენ ვითამაშებთ!

„რუსეთის ნაკრების წარმატებისა რომ არ მწამდეს, ჩემი მხრიდან დიდი შეცდომა იქნებოდა — ბრძანა ჰიდინკმა და დასძინა — ჩვენს ჯგუფს ხორვატები ლიდერობენ, მათ საკმაოდ ცოტა ქულა დაკარგეს, თუმცა კალენდარში საქმე ისეა, რომ ჯერ კიდევ ყველას ყველასთან აქვს სათამაშო, ანუ ვითარება გვარიანად რთულია. ცხადია, მე ვაპირებ რუსეთის ნაკრების ჯგუფიდან გაყვანას. ინგლისის ნაკრები ტრადიციულად კარგი გუნდია და, რაა გასაკვირი, ევროპის ჩემპიონატზე ამ გუნდის მოხვედრაც მესიამოვნებოდა, მაგრამ მოდით, სინამდვილეს თვალი გავუსწოროთ — ხორვატებს წლობით გამოცდილი, ძლიერი გუნდი ჰყავთ“.

რატომაც არის ინგლისისა და რუსეთის თემა აქტუალური, გულშემატკივრისთვის გასაგებია: ეს გუნდები ოთხშაბათს ერთმანეთს ხვდებიან და თუ ამ თამაშს რუსეთი მოიგებს, ინგლისელებს ჯგუფიდან გასვლა მეტისმეტად გაუჭირდებათ.

„მე ნებისმიერ თამაშს მოსაგებად ვიწყებ — განაგრძო 60 წლის ჰიდინკმა — ვნახოთ, ოთხშაბათიც მალე მოვა და გაირკვევა, ვინ სად ვართ. სადღეისოდ რუსეთის ნაკრებს შეტევა ნამდვილად არ დაეწუნება. მართალია, დღეს მაინც გარდამავალ პერიოდში ვართ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ერთ მშვენიერ დღეს ჩვენ ლამაზ, შემტევ, აგრესიულ ფეხბურთს ვითამაშებთ. ჩვენი სტილი სწორედ ასეთია და კიდევ უფრო დავიხვეწებით. ერთი სიტყვით, პირდაპირ შემიძლია ვთქვა, რომ „უემბლიზე“ მხოლოდ თავის დასაცავად არ მივდივართ. ვფიქრობ, ეს იქნება სწრაფი თამაში, სადაც ორივე გუნდი ბევრი გოლის გატანას შეეცდება. საკმარისია დაცვაში ჩავჯდეთ, რომ ინგლისი დაგვსჯის“.

**ბაჩუნა ძიძია**

# სამი დღით თითი ყურშია

გთავაზობთ ინგლისის ნაკრების მწვრთნელის, სტივ მაკლარენის ასისტენტის, ცნობილი ტერი ვენეიბლზის წერილს, რომელიც გუშინდელ „სანში“ გამოქვეყნდა და ინგლის — რუსეთის მოახლოებულ შეხვედრას ეხება...



რუსეთის ნაკრების მწვრთნელი გუს ჰიდინკი ბებერი მელაა და სწორედ ამიტომ ერთ სიტყვასაც არ დავიჯერებ, რასაც ის ბოლო სამი დღის განმავლობაში იტყვის. არადა, მან უკვე გვარიანად ბევრი თქვა — ჯერ ინგლისს ქინი აკლიაო, შემდეგ შეშინებულია და თამაშს ვერ ბედავსო, ბოლოს ჯგუფიდან ვერ გავაო და ამ ყველაფერს ზედ დააყოლა, რუსეთის ნაკრები გარდამავალ პერიოდშიაო.

გაიგონებდით იმასაც, თითქოს ჰიდინკი მეკარეზე დარდობდეს — იძულებული ვარ, მესამე გოლკიპერი ვათამაშოო.

როდესაც ადამიანს მწვრთნელობაში ჭიპი გაქვს მოჭრილი, კარგად იცი, რომ ეს ყველაფერი ეშმაკური თამაშებია. მაგალითად, თუ ის ამბობს, რომ ინგლისი ჯგუფიდან უნდა გავიდეს, მაგრამ ვერ გავა, ამით ჩვენს გუნდს ფსიქოლოგიურად ტვირთავს. ერთი სიტყვით, ეს ყველაფერი ჩემზე არ მოქმედებს. მე ყურებს თითებით ვიცობ, რადგან ვიცი, რომ ეს ყველაფერი ბავშვობაა.

კაცმა რომ თქვას, ეს მატჩი სულაც არ არის ჰიდინკი ვენეიბლზის წინააღმდეგ, ეს გახლავთ ჰიდინკი მაკლარენის წინააღმდეგ, თუმცა ამ ადამიანს კარგად ვიცნობ და ვიმედოვნებ, რომ ჩემს გამოცდილებას ინგლისის ნაკრების სასარგებლოდ გამოვიყენებ.

ევრო 96-ზე ჰიდინკი ჰოლანდიის ნაკრებს წვრთნიდა, მე კი ინგლისისას, როდესაც ჩვენ „უემბლიზე“ მათ დიდებულ შეხვედრაში 4:1 მოვუგეთ. ადამიანი ყოველი თამაშიდან რაღაცას სწავლობს და შეძენილ გამოცდილებას გონების არქივში ინახავს.

მართალია, დღეს ის სულ სხვა გუნდს უდგას სათავეში, მაგრამ ვფიქრობ, მაშინდელ სალამოსთან ბევრი რამ მაინც იქნება საერთო. მაგალითად, დარწმუნებული ვარ, რომ ის მაშინდელივით სამი მცველით ითამაშებს და მაშინდელივით ძნელი დასაძლევი იქნება. ჰიდინკი დიდებული რეპუტაციის მქონე მწვრთნელია. მან ჩინებულად იმუშავა 2002 წელს კორეის ნაკრებში და აგრეთვე ჩინებული იყო ავსტრალიის გუნდის მწვრთნელის რანგში — მისი ხელმძღვანელობით ავსტრალია 2006 წლის ჩემპიონატზე მოხვდა.

მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, ინგლისის ნაკრებს რუსეთის დამარცხება შეუძლია. გუშინ მთელი დღე რუსეთის შესახებ სტატიების კითხვასა და ვიდეოჩანაწერების ანალიზს შევალიე. ვფიქრობ, მეტოქე დაწვრილებით გვყავს შესწავლილი. გარდა ამისა, ისრაელს 3:0 ისე მოვუგეთ, რომ ვფიქრობ, ფსიქოლოგიურად კარგ განწყობაზე უნდა ვიყოთ. ხალხი ამბობდა, რომ ისრაელის ნაკრები ძლიერი გუნდი არ არის, მაგრამ დააკვირდით ამ გუნდის ნაღვაწს ბოლო 18 თვის განმავლობაში და დარწმუნდებით, რომ საქმე საკმაოდ ძნელად დასაძლევ ძალასთან გვქონდა. თან, ისინი ერთი თავდამსხმელის არყოფნას უჩიოდნენ, ჩვენ კი 12 მოთამაშე გვაკლდა.

გულწრფელად რომ გითხრათ, მანამდე გერმანიასთან 1:2 რომ წავაგეთ, ბლომად საგოლე მომენტები შევქმენით, მაგრამ ამაზე ახლა ნურაფერს ვიტყვით. ვფიქრობ, ეს ორი თამაში ნათლად ადასტურებს ჩვენს პროგრესს, პროგრესს კი თავისი წესი აქვს, 0-დან 10-ზე პირდაპირ ვერ ახტები, საფეხურებად უნდა ახვიდე.

თუმცა ახლა უკვე ისრაელზე ლაპარაკის დრო აღარ არის, წინ შემდეგი მატჩი გველის. რასაკვირველია, ისევე, როგორც ბოლო კვირებში, შემადგენლობის პრობლემები გვაქვს, თუმცა გასახარია ის, რომ ჩვენს ხელთ არსებული ფეხბურთელები საქმისადმი სწორ მიდგომას ამჟღავნებენ.

სტივს შემადგენლობის პრობლემა გარეთ ბერიმ და ემილ ჰესკიმ შეუქმნეს და დარწმუნებული ვარ, გულშემატკივრები ბევრს დავობენ, ვინ უნდა ითამაშოს მათ მაგივრად, მაგრამ ფეხბურთი სწორედ ამიტომ არის კარგი. ჩვენს ქვეყანაში არის ორი თანამდებობა, რომლის შესაფერისადაც უკლებლივ ყველა საკუთარ თავს მიიჩნევს — ესენი გახლავთ პრემიერმინისტრობა და ინგლისის ნაკრების მწვრთნელობა, თუმცა ოთხშაბათს ვის ათამაშებს, მაინც სტივის გადასაწყვეტია.

**ბაჩუნა ძიძია**



კენ ბეიტსი



ფრედი შეფერდი

# გახსოვთ ლიდსი?!

## კენ ბეიტსი: კი არ ვყიდი, ვამაკაცოზ

**კენ ბეიტსმა** თქვა, რომ „ლიდს იუნაიტედის" ფრედი შეფერდისთვის მიყიდვას არ აპირებს.

დიახ, არაფერი შეგვშლია, სწორედ იმ შეფერდზეა ლაპარაკი, „ნიუკასლ იუნაიტედის" პატრონი რომ გახლდათ.

კენ ბეიტსმა თქვა:

„არ დაიჯეროთ, რომ ფრედი „ლიდს იუნაიტედის" სენსაციურად შეძენასთან არის ახლოს. არც ის დაიჯეროთ, რომ მე ვაპირებ კლუბის გაყიდვას. უბრალოდ, ის ჩემი დიდი მეგობარია, ჩვენ მრავალი წელიწადია, საუკეთესო ურთიერთობა გვაქვს და მეც მის მოსანახულებლად გახლდით, რასაც მეგობრული სადილი მოჰყვა. ეს არის და ეს.

...რაც შეეხება საუბრის თემას, ბუნებრივია, ჩვენ ფეხბურთზე ვილაპარაკეთ. ფრედი დღემდე ვერ შეგუებია იმას, რაც „ნიუკასლში" გადახდა თავს. მერე გაირკვა, რომ ის ფეხბურთში დაბრუნებაზე ოცნებობს, მე კი ინვესტორი მჭირდება. ერთი სიტყვით, ორი ადამიანის ინტერესი დაემთხვა. ერთი სიტყვით, ვისადილეთ და შევთანხმდით, რომ ერთმანეთს დავუკავშირდებით. მას ჩემთვის კლუბის მიყიდვა არ უთხოვია და რაზეც ვილაპარაკეთ, ისიც კი დაწყებით სტადიაზეა. „ლიდს იუნაიტედი" არ იყიდება".

შეგახსენებთ, რომ „ლიდს იუნაიტედს" ფინანსური პირობების დაუკმაყოფილებლობის გამო პირველი ლიგის ჩემპიონატის მინუს 15 ქულით დაწყება მოუხდა, მაგრამ დენის უაიზის ხელმძღვანელობით გუნდმა ჩამორჩენის ზედიზედ ხუთი გამარჯვებით გამოსწორება მოახერხა.

„შავი სამუშაო შესრულებულია. ამიერიდან ფინანსური პრობლემები აღარ გვაქვს და მხოლოდ ფეხბურთზე შეგვიძლია ფიქრი. „ლიდს იუნაიტედი" უკვე მოგებაზეა და ჩვენი შემოსავალი „მიდლსბროს", „უიგანის", „რედინგისა" და „ფულემისაზე" მეტია. ჰოდა, რატომ უნდა გავყიდო კლუბი?! ორი წლისა და სამი თვის მუხლჩაუხრელი მუშაობის შემდეგ ჩვენ ხომ ისევ ფეხბურთზე ვფიქრობთ და ვიმარჯვებთ".

**ბაჩუნა ძიდია**

# მაურინიუ და ვენგერი: კაკა!

**ჟოზე მაურინიუს** და არსენ ვენგერის აზრით, „ოქროს ბურთს" კაკა იმსახურებს.

„ჩელსის" მწვრთნელმა თქვა: „ამ ჯილდოს კანდიდატი 6-7 კაცია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ჩემპიონთა თასის მოგებას და ლიგაში გატანილ 10 გოლს, „ოქროს ბურთი" „მილანის" ბრაზილიელს ეკუთვნის".

არსენ ვენგერმა კი განაცხადა: „წლეულს სანაკრებო ტურნირი არაა და ამიტომ საუკეთესო ჩემპიონთა ლიგის შედეგებით უნდა გაირკვეს, რომელიც „მილანმა" მოიგო და „ოქროს ბურთსაც" კაკა იმსახურებს."

**ვაჟა ხუციშვილი**

# გულნატკენის ფეხსაცმელი

## რატომ მოიძულა ბალაკი მაურინიუმ?



AFP

**მიხაელ ბალაკმა** თქვა, რომ სასტიკად განაწყენებულია. „სარბიელმა" იმთავითვე შეგატყობინათ, რომ „ჩელსის" მწვრთნელმა ჟოზე მაურინიუმ გერმანელი ვარსკვლავი ჩემპიონთა ლიგის განაცხადში არ შეიყვანა.

შეგახსენებთ მიზეზს: ბალაკმა კოჭის ოპერაცია გაიკეთა და ჯერჯერობით გამოჯანმრთელების პერიოდი უდგას.

„სასტიკად იმედგაცრუებული ვარ — განაცხადა ამასთან დაკავშირებით 30 წლის გერმანელმა — მაგრამ სხვა რა გზა მაქვს, რაც მოხდა, მოხდა. ამიერიდან მთელი ყურადღება ძველებური ფორმის აღდგენაზე უნდა გადავიტანო. ამის შემდეგ უკვე სხვა საკითხებზეც შემეძლება გადაწყვეტილების მიღება".

საინტერესოა, რომ ბალაკისთვის საგანგებოდ შეკერეს სპორტული ფეხსაცმელი, რომელშიც მას მუშაობა უნდა გაუადვილდეს.

**ბაჩუნა ძიდია**

# საამ საფრანგეთი გადადო

**ინგლისური** „მანჩესტერ იუნაიტედის" ფრანგი თავდამსხმელი ლუი საა საფრანგეთის ნაკრებში თამაშს უარობს.

„ამ ეტაპზე ჩემი მთავარი საზრუნავი „მანჩესტერ იუნაიტედია" — განაცხადა საამ — ნაკრებში მაშინ ვითამაშებ, როცა სრულად გამოვჯანმრთელდები, ჯერჯერობით კი ამხელა დატვირთვებს ვერ გავუძლებ".

შეგახსენებთ, რომ საამ ახლახან მოირჩინა მძიმე ტრავმა და დაბრუნებისთანავე გოლით შეეწია კლუბს.

**კახა ფალამბერიძე**

# ბრანისლავ რვანახევრიანი

**GOAL.COM-ის** ცნობით, „იუვენტუსი" მოსკოვის „ლოკომოტივისგან" ბრანისლავ ივანოვიჩის ყიდვას აპირებს.

ტურინელები რუსებს 23 წლის სერბ მცველისთვის 8 მილიონ 500 ათას ევროს უხდიან, ფეხბურთელს კი ხუთწლიან კონტრაქტს სთავაზობენ.

გარიგება, შესაძლოა, იანვარში შედგეს.

# მანჩესტერს ჰუნტელაარი ახსოვს

**„მანჩესტერ იუნაიტედი"** კლაას-იან ჰუნტელაარით კვლავ დაინტერესდა.

ამსტერდამის „აიაქსის" ფორვარდის შეძენა „წითლებს" შარშანაც უნდოდათ და მას რუუდ ვან ნისტელროის ადარებენ.

ჰოლანდიელი თავდამსხმელის გადაბირებას „მანჩესტერის" თანაქალაქელი „სიტიც" აპირებს, „აიაქსი" კი ჰუნტელაარს 27 მილიონ ევროდ აფასებს.

# პენანტი გაილეშა

**„ლივერპულის"** ნახევარმცველმა ჯერმენ პენანტმა ინგლისი — ისრაელის მატჩი ბარში ნახა და გვარიანადაც გამოთვრა — წერს „სანი".

პენანტი ნაკრებში არ გამოიძახეს და მის ნაცვლად შონ რაიტ-ფილიპსს უხმეს, რომელმაც ისრაელთან გოლი გაიტანა.

„ნაკრებს მიღმა დარჩენილმა დარდი ალკოჰოლით გაიქარვა" — თქვა თვითმხილველმა, რომელმაც ასევე განაცხადა, რომ მთვრალი პენანტი პიცერიასთან მოჩხუბრებშიც გაერია და ვიღაცას აწყნარებდა, მერე კი წაქცეულა.

# მკვლელი

**ბელგრადის** „ცრვენა ზვეზდას" 20 წლის ქომაგ მარკო ბლაგოიევიჩს მკვლელობისთვის რვანახევარი წელი ციხე მიუსაჯეს.

შარშან ივლისში „ცრვენას" და „პარტიზანის" ფანებმა იჩხუბეს, „პირობა" კი ისეთი იყო, რომ მხოლოდ მუშტები უნდა ექნიათ, მაგრამ ბლაგოევიჩმა „პარტიზანის" გულშემატკივარს 24 წლის ალექსანდრ პანტიჩს დანა დაარტყა და მოკლა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ჩვენ ერთი გუნდი ვართ!

**ჯი სუნგ პარკი** გახსოვთ? დიახ, კორეელი ფეხბურთელი, რომელსაც ბოლოს „მანჩესტერ იუნაიტედში" მოვკარით თვალი. ჰოდა, ის ამბობს, რომ სერ ალექს ფერგიუსონის სატრანსფერო გენიამ მათი გუნდი ამ სეზონში პრემიერლიგის ტიტულის მთავარ ფავორიტად დატოვა. უფრო სწორად, კორეელი დარწმუნებულია, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი" ამ სეზონშიც ჩემპიონი გახდება.

შეგახსენებთ ფერგიუსონის ნავაჭრს: ოუენ ჰარგრივზი, ნანი, ანდერსონი და ბოლოს კარლოს ტევესი.

პარკი, ნახევარმცველი, რომელმაც მარტში მუხლი იტკინა და სწორედ მას მერე ჩამოშორდა სარბიელს, ამბობს: „ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენ ჩემპიონობას შევინარჩუნებთ. ისედაც ძალიან ძლიერი გუნდი გვყავდა და მწვრთნელმა ახალი ფეხბურთელებით კიდევ უფრო გააძლიერა. ამ ახალმა ფეხბურთელებმა ჩემზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს. ნანი მეტისმეტად სწრაფია, ოუენი უზარმაზარ სამუშაოს ასრულებს, კარლოსი კი თამაშს ხედავს ჩინებულად. რაც შეეხება ანდერსონს, ის ჯერჯერობით ისე ხშირად არ თამაშობს და ამიტომ მასზე გამოკვეთილად ვერაფერს ვამბობ, მაგრამ იმედი მაქვს, თავის ნიჭს ისიც გამოავლენს".

როგორც ირკვევა, პარკი „მანჩესტერ იუნაიტედში" კონკურენციას ვერ შეუშინებია და ცდილობს, მშვიდად განაგრძოს ბრძოლა სერ ალექსის გუნდში ადგილის დასამკვიდრებლად.

„იმედი მაქვს, ნააზალწლევს ისევ ავთამაშდები — თქვა კორეელმა — მუხლში, რაც დრო გადის, მით უფრო მეტ ძალას ვგრძნობ".

**ბაჩუნა ძიდია**



# სასაცილო გაზეთი


ზე მარიას (მარჯვნივ) „ლაციო“ ეპატიჟება

## უმუშევარი ზე მარია და დირექტორის რეაბილიტაცია

**„ინტერის“** ყოფილ მცველ ზე მარიათი „ლაციო“ დაინტერესდა. 34 წლის ფეხბურთელი ამჟამად თავისუფალი აგენტია, რადგან „ლევანტესთან“ ერთწლიანი კონტრაქტი დაუსრულდა.

„გაზეთებში წავიკითხე „ლაციოს“ ჩემით დაინტერესების ამბავი და გამეცინა — თქვა ზე მარიამ — ნაწერსა და რეალობას შორის კი დიდი სხვაობაა. რომაული კლუბიდან მე დღემდე არავინ დამკავშირებია“.

ბრაზილიელმა ექვსი სეზონი გაატარ „პერუჯაში“, მერე „ინტერში“ გადავიდა, სადაც ორ წელიწადში 30 მატჩი ითამაშა და 2006-ში მილანური კლუბიდან წავიდა.

„ლაციოს“ სპორტული დირექტორი ვალტერ საბატინი გადადგომას აპირებდა, რადგან ამ ზაფხულს მეკარე ანჯელო პერუცის შემცვლელი ვერ იპოვა. არგენტინელი ხუან პაბლო კარიცოს გადაყვანა ვერ მოახერხა და ამიტომ კარში 43 წლის ბალოტა დგას.

საბატინი კლუბის პრეზიდენტმა დატოვა და რეაბილიტაციის შანსი მისცა. დირექტორმა წინა კვირაში ფორვარდი ფაბიო ვინაროლი მიიყვანა „ლაციოში“, რომელსაც ტრავმების გამო ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი აკლია. ვინაროლის „ბარისთან“ კონტრაქტი დაუმთავრდა და ისიც თავისუფალი აგენტი იყო, ახლა კი საბატინი ზე მარიას გადაბირებას ცდილობს.

„დიდი ხანია, საბატინის ვიცნობ და ვიცი, რომ კარგად მუშაობს — თქვა ზე მარიამ — თუ „ლაციოში“ გადასვლას შემომთავაზებს, სიხარულით დავთანხმდები. მინდა, რომ ამ კვირაში გუნდი მოვნახო და ვარჯიში დავიწყო. სხვადასხვა ქვეყნებიდან მეპატიჟებიან, მაგრამ არ ვჩქარობ.

**ვაჟა ხუციშვილი**



## რონალდოს სექტემბერი ოქტომბერია

**კარლო ანჩელოტი** ამტკიცებდა, რონალდო 15 სექტემბერს „სიენასთან“ ითამაშებსო, მაგრამ ვერ გამოიცნო.

ბრაზილიელი ფორვარდი გასულ კვირაში ჯერ ბელგიაში ანტვერპენელმა ექიმმა ნახა, მერე კი რიო დე ჟანეიროშიც გასინჯეს და დაადგინეს, რომ ოქტომბრამდე მისი თამაში გამორიცხულია.

„პირველი დიაგნოზი მცდარი აღმოჩნდა — თქვა „მილანის“ ექიმმა ჟან-პიერ მეერსენმა — მომავალ კვირაში ყველაფერი ზუსტად გვეცოდინება და ალბათ ერთ თვეში გამოკეთდება.“

**ვაჟა ხუციშვილი**

## ბევრი ფული

**მადრიდის** „რეალის“ პრეზიდენტმა რამონ კალდერონმა ფეხბურთელებს განუცხადა, რომ ჩემპიონთა ლიგის მოგების შემთხვევაში თითოეული 600 ათას ევრო მიიღებს, ესპანეთის ჩემპიონობისთვის 400 ათასს, ხოლო „სამეფო თასისთვის“, რომელიც „რეალს“ 14 წელია, არ მოუგია, 300 ათასს.

## დოშეკი იკოლერებს

**პრაღის** „სპარტას“ ფორვარდ ლიბორ დოშეკს ნაკრებში უხმეს. იგი „მონაკოს“ თავდამსხმელ იან კოლერის ნაცვლად გამოიძახეს, რომელმაც შაბათს სან მარინოსთან ყვითელი ბარათი მიიღო და ირლანდიასთან ხვალინდელ შეხვედრაში ნაკრებს ვერ დაეხმარება.

სან მარინოს ჩეხებმა 3:0 მოუგეს და ერთი გოლი კოლერმა გაიტანა.

## კასანოს თვე

**„სამპდორიას“** ფორვარდმა ანტონიო კასანომ ამხანაგურ მატჩში ტრავმა მიიღო.

გენუელები შვეიცარიულ „ბელინცონას“ შეხვდნენ და იტალიელი თავდამსხმელი 44-ე წუთზე შეცვალეს, რადგან ბარძაყის კუნთი ეტკინა.

ეს მატჩი საგანგებოდ ახალწვეულებისთვის, კასანოსთვის და მონტელასთვის გამართეს, რომლებიც ამ ზაფხულს მიიყვანეს გუნდში.

დაშავებული ფორვარდი „სამპდორიას“ დაახლოებით ერთი თვე ვერ დაეხმარება.

## ემრე ნაწყენია

**„ნიუკასლის“** თურქ ნახევარმცველ ემრე ბელოზოღლუს გუნდიდან წასვლა უნდა, რადგან „გალათასარაი“ ეპატიჟება.

ამ ზაფხულს „ნიუკასლში“ მწვრთნელად სემ ალარდაისის მისვლის შემდეგ თურქმა ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა. ალარდაისი მასზე მეტად ჯერემის და ალან სმიტს ენდობა.

„სიამოვნებით დავბრუნდები „გალათასარაიში“ — თქვა ემრემ, თურქული კლუბის პრეზიდენტმა ადნან პოლატმა კი განაცხადა, რომ ტრანსფერი ალბათ იანვარში შედგება.

## მიზანი ნასრია

**„კორიერე დელო სპორტის“** ცნობით, „მარსელის“ და საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველ სამირ ნასრის აგენტს „ინტერი“ დაუკავშირდა. მილანური კლუბის პრეზიდენტ მასიმო მორატის განცხადებით, ახალგაზრდა ფრანგი „შავ-ლურჯების“ პირველი სამიზნეა. მერე რიგში არიან ბარსელონელი ჯოვანი დოს სანტოსი და ბენფიკელი ფრედი ადუ.

სამირ ნასრით მადრიდის „რეალიც“ დაინტერესებულა.

## სასჯელმოხდილი

**„ვალენსიას“** მცველმა დავიდ ნავარომ, რომელიც „მალიორკაშია“ განათხოვრებული, ექსთვიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა.

მარტში ჩემპიონთა ლიგის მატჩში „ვალენსიასა“ და „ინტერს“ შორის ჩხუბი მოხდა. ნავარო სათადარიგოთა სკამიდან მოედანზე შევარდა და ინტერელ ნიკოლა ბურდისოს დაარტყა. იგი უეფამ ყველა შეჯიბრიდან ნახევარი წლით მოკვეთა. ახლა კი სასჯელის ვადა გაუვიდა და კვირას „ვილიარეალთან“ ითამაშებს.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ეს დასაწყისია, მერე ნახეთ!

**„ნაპოლის“** ფორვარდმა მარსელო ზალაიეტამ განაცხადა, რომ „უდინეზეს“ კარში გატანილი ორი გოლი ჯერ მხოლოდ დასაწყისია და გულშემატკივრებს კიდევ ბევრს ჰპირდება.

ურუგვაელი თავდამსხმელი ამ ზაფხულს გადავიდა „იუვენტუსიდან“ „ნაპოლიში“ და მეორე ტურში, უდინეში დუბლი შეასრულა, მისმა გუნდმა კი 5:0 მოიგო.

„ახლა გამოჩნდება ნამდვილი ზალაიეტა — თქვა მან — ეს მხოლოდ დასაწყისია. დავამტკიცებ, რომ სერია A-ს დონის ფეხბურთელი ვარ და „ნაპოლის“ იმედებს გავამართლებ. თავიდან ნეაპოლელი ფანების სიგიჟემ ცოტა შემაშინა კიდეც, მაგრამ ალბათ შიშის გრძნობა დამეხმარა ორი გოლის გატანაშიც“.

მეტსახელად „ავაზამ“ 128 მატჩი ითამაშა „იუვენტუსში“, მაგრამ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი არასოდეს ყოფილა. ტურინულ კლუბში მან 18 გოლი გაიტანა.

— „იუვენტუსში“ ყველაფერი სხვაგვარად იყო, რადგან იქ „სუპერვარსკვლავები“ არიან და ამიტომაც ვიჯექი სათადარიგოებში. „ბარსელონასთან“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში (2003) ჩემი გოლით მოვიგეთ, მაგრამ მხოლოდ შემაქეს და ისევ სკამზე დამსვეს. კლუბის დირექტორებს ვუთხარი, რომ ასეთი ყოფით დავიღალე და სხვა გუნდში გადასვლა მინდოდა. „ნაპოლიც“ ამ დროს გამოჩნდა და, როგორც ხედავთ, აქაურობას კარგად შევეგუე“ — განცხადა ზალაიეტამ.

**ვაჟა ხუციშვილი**



### არგენტინა

**აპერტურა. VII ტური**

კოლონით — ბოკა ხუნიორსი 1:0; რივერ პლეიტი — ველესი 5:0; ესტუდიანტესი — რასინგი 2:1; სან ლორენსო — არსენალი 2:4; ინდეპენდიენტე — სან მარტინი 2:2; ნიუელსი — ლანუსი 0:0; ურაკანი — ხიმნასია ლპ 0:1; ბანფილდი — როსარიო 3:2; ოლიმპო — არგენტინოს ხუნიორსი 1:1

### მექსიკა

**აპერტურა. VII ტური**

ეკოსი — ხაგუარესი 2:1; კრუს ასული — პაჩუკა 1:2; სან ლუისი — გვადალუპე 0:0; მორელია — პუებლა 2:0; ტიგრესი — ატლანტე 2:3; ატლასი — მონტერეი 2:2; ტოლუკა — ვერაკრუსი 2:1; ნეკაქსა — პუმასი 1:1; სანტოსი — ამერიკა 4:0

### ურუგვაი

**აპერტურა. IV ტური**

ნასიონალი — ბელა ვისტა 2:2; რამპლა — რივერ პლეიტი 3:1; დეფენსორი — დანუბიო 0:0; პენიაროლი — უონდერერსი 0:1; პროგრესო — ფენიქსი 1:4; ლივერპული — ჟუვენტუდი 1:1; სერო — ესპანიოლი 0:0; ტაკუარემბო — მირამარი 1:0

### ჩილე

**კლაუსურა. VIII ტური**

კობრესალი — უჩიპატო 2:1; ლა სერენა — კოკიმბო 2:2; ჰიგინსი — კობრელოა 2:2

### აშშ

**მეიჯორლიგა. XXIII ტური**

ვაშინგტონი — ნიუ ინგლენდი 4:2; ჩივასი — ნიუ იორკი 3:0



# ეჩებერიას საფეხურები
## 400 მატჩი პრიმერაში

**ლა ლიგის** დიდების მუზეუმში ხოსება ეჩებერიასთვის ადგილს ინახავენ — „ბილბაოს“ კაპიტანი შაბათს „სარაგოსასთან“ პრიმერადივიზიონში თავის მეოთხასე მატჩს გამართავს.

ეჩებერიას დებიუტი ლა ლიგაში 1994-95 წლების სეზონში შედგა — მაშინ ახალგაზრდა ბასკი ფორვარდი „სოსიედადის“ ფეხბურთელი გახლდათ.

ეჩებერიამ „სოსიედადში“ მხოლოდ 7 მატჩი ჩაატარა, მათ შორის თავისი მომავალი კლუბის წინააღმდეგაც, სადაც „ატლეტიკი“ დამარცხდა, შემდეგ კი ფორვარდმა მთელი კარიერა სწორედ „ბილბაოს“ მიუძღვნა.

„ატლეტიკის“ თავდამსხმელმა საამსეზონო ლა ლიგის მეორე ტურში ტრავმის გამო „ბარსელონას“ წინააღმდეგ ვერ ითამაშა, თუმცა, სავარაუდოდ, გამოჯანსაღებულ ეჩებერიას მწვრთნელი ხოაკინ კაპაროსი „სარაგოსასთან“ მინდორზე გაიყვანს და ხოსებაც პრიმერადივიზიონის დიდების მუზეუმში თავის ადგილს დაიმკვიდრებს.

ფეხბურთელთა მცირე ჯგუფს თუ მიუღწევია მსგავსი რეკორდებისთვის. ყველაზე მეტი მატჩი ლა ლიგაში ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონას“ ლეგენდარულ მეკარე ენდონი სუბისარეტას ჩაუტარებია (622). მეორე ადგილზე ბარსელონელი ეუსებიო საკრისტანია (543 მატჩი), მესამეზე კი მადრიდის „რეალის“ ყოფილი მობურთალი უგო სანჩესი (542 მატჩი).

„რეალის“ კაპიტან რაულს, რომელთან ერთადაც ეჩებერია რამდენიმე სეზონის განმავლობაში ნაკრების თავდასხმაში თამაშობდა, 448 საპრიმერო მატჩი დაუგროვდა. ჩატარებული შეხვედრების რაოდენობის მიხედვით, რაული სიაში 22-ე ადგილზეა.

ხოსება ეჩებერიას „ატლეტიკთან“ კონტრაქტით კიდევ ორი წლით უწევს თანამშრომლობა, რაც ბასკს კარგ შანსს აძლევს, პრიმერადივიზიონში ჩატარებული მატჩების რაოდენობა 450-ამდეც გაზარდოს.

ხოსება 30 წლისაა და გულშემატკივრებიც მისგან ისეთ გოლებს ელიან, წლების წინ ბასკთა არენაზე „სარაგოსას“ რომ გაუტანა — „ბილბაო“ არაგონელებს საჩემპიონთალიგო საგზურისთვის ეკინებოდა და ხოსება ეჩებერიას გოლმაც „ატლეტიკს“ ტურნირზე თამაშის უფლება მისცა.

„ბილბაოს“ შემადგენლობაში ეჩებერიას 82 გოლი გაუტანია (2-იც „სოსიედადში“ ბურთაობისას შეაგდო). ლა ლიგაში გატანილი გოლების რაოდენობის მხრივ ხოსება ოთხმოციანი წლების „ატლეტიკის“ ჩაუქ ფორვარდ მანუ სარაბიას ერთი გოლით ჩამორჩება. მისი მიზანი კი კიდევ ერთი ბასკი თავდამსხმელის ფიდელ ურარტეს (90 გოლი) რეკორდის დამხობაა. ამისთვის ეჩებერიას დრო საკმარისად აქვს — როგორც ავღნიშნეთ, კიდევ ორი სეზონი უნდა ითამაშოს „სან მამესზე“.

**ლადო ხომერიკი**

სანაკრებო შეხვედრათა გამო „ბარსელონას“ მწვრთნელ ფრანკ რაიკარდს 14 შეგირდი გამოაკლდა. დრო კი ჰოლანდიელს საკმარისად ჰქონდა საიმისოდ, რათა ამ სეზონში კატალონიური გუნდის არცთუ ძლიერი დებიუტი გაეანალიზებინა. ფრანკ რაიკარდს სააგენტო EFE გაესაუბრა.

# რაც ჩვენი არ იყო, როგორ გავაჩუქებდით?!

— ამ „ბარსელონასგან“ წარმატებებს უნდა ველოდოთ?

— დიახ, გუნდში ბევრი სიახლეა, მოვიდნენ ახალი ფეხბურთელები, რომლებმაც გუნდთან ადაპტაციის პერიოდი მალე გაიარეს. სეზონისწინა მოსამზადებელ ეტაპზე გუნდის აქტიურობა და საბრძოლო შემართება მომეწონა. ასევე უნდა გავითვალისწინოთ, რომ ძირითად შემადგენლობაში ასაკობრივი გუნდიდან ნიჭიერი ახალგაზრდები, ჯოვანი დოს სანტოსი და ბოიან კრკიჩი მოვიდნენ. ვფიქრობ, განვითარების სწორი გზით მივდივართ.

— გასულ სეზონში გუნდის ჩავარდნამ წლეულს „ბარსელონას“ სიძლიერეზე დადებითი გავლენა მოახდინა?

— არ ვიცი. ვერ ვიტყოდი, რომ შარშან მარცხი განვიცადეთ — ქულებით ლა ლიგის ჩემპიონს გავუტოლდით. თუმცა ვაღიარებ, რომ გადამწყვეტ ეპიზოდებში შანსები ხელიდან გავუშვით. როცა წარსულს ვიხსენებ, ვფიქრობ, იქნებ უკეთესიც იყო შარშანდელი პრიმერას წაგება... შეცდომების გამოსწორებისთვის ახლა უფრო ბეჯითად ვიმუშავებთ.

— გასული წლის გამოცდილებამ რა გასწავლათ?

— ყველაფერს გავითვალისწინებთ და უფრო ფრთხილად ვიქნებით. ახლა მომავალ მატჩებზე უნდა ვიფიქროთ. შარშანდელ სიტუაცია რომ განმეორდეს, არ ვიცი, დასასრული იგივე იქნება თუ არა, მდგომარეობა თანდათანობით დღითიდღე უნდა შევაფასოთ. საკმაოდ მშვიდად ვარ. ვფიქრობ, რომ გასულ



AFP

სეზონში თამაშები ჩაგვივარდა, მაგრამ არავისთვის არაფერი გვიჩუქებია, უბრალოდ, მიზნის მისაღწევად ძალა არ გვეყო. ამბობენ, რომ „ბარსამ“ ჩემპიონობა გააჩუქა — ეს ტყუილია, რაც ჩვენს ხელთ არ იყო, იმას როგორ გავაჩუქებდით?! ამიტომაც კრიზისსა და ტიტულების გასხვისებაზე აღარ ვილაპარაკებ.

— ჯოვანი დოს სანტოსის კარგმა თამაშმა გაგაკვირვათ?

— არა, ჯოვანი შარშანაც ჩვენთან ერთად ვარჯიშობდა და დაამტკიცა, რომ დიდი ტალანტის პატრონია. ახლა კი ფიზიკურადაც მოძლიერდა.

— ბოიან კრკიჩი გუნდში რა როლს შეასრულებს?

— როგორც კი კრკიჩი ძირითად გუნდში სათამაშოდ მოვიდა, მისი ნიჭი მაშინვე შევამჩნიეთ. ასაკთან შედარებით ძალიან განვითარებული ფეხბურთელია, თამაშს კარგად კითხულობს და სწორ გადაწყვეტილებებს იღებს. გუნდში მოსულ ახალგაზრდებს ნებისმიერ მატჩში შეუძლიათ მოედანზე გამოსვლა და ჩვენი დახმარება.

— გულშემატკივრები გსაყვედურობენ, რომ ხშირად მოედანზე თქვენ მიერ განხორციელებულ ცვლილებებს შედეგი არ მოაქვს...

— კრიტიკა არ მთრგუნავს, პირიქით, ენერგიით მავსებს. მოედანზე თერთმეტი ფეხბურთელია, ტრიბუნაზე კი 80 ათასი გულშემატკივარი და ყველას მწვრთნელი ჰგონია თავი.

— „ბარსელონაში“ ტურეს გამოჩენა დეკუს ჩრდილში გადანაცვლებას ხომ არ ნიშნავს?

— დეკუსადმი არავითარი პრეტენზია არ მაქვს. იგი ადრეც მნიშვნელოვანი ფეხბურთელი იყო და დღესაც იმავე ძალას ინარჩუნებს. მსგავს მოთამაშეს იშვიათად შეხვდები.

— მადრიდის „რეალის“ შესახებ რას გვეტყვით?

— მიმაჩნია, რომ ლა ლიგა კარგად დაიწყეს. დებიუტი კარგია, მაგრამ წინ თითქმის მთელი სეზონია და უამრავი სამუშაო რჩება.

# სანამ კრკიჩი, მანამ აკინო
## მადრიდის რეალის ტალანტების პროგრამა



დანი აკინო

**ახალგაზრდა** ტალანტებზე მონადირე მადრიდის „რეალი“ ბოიან კრკიჩს უთვალთვალებს, თუმცა კორეაში ჩატარებულ 17-წლამდელთა მუნდიალზე თავი მარტო „ბარსელონას“ ფეხბურთელს არ გამოუჩენია — ესპანეთის ნაკრებიდან შესანიშნავად ითამაშა დანი აკინომაც და ჩემპიონატის ერთ-ერთ აღმოჩენად იქცა. „რეალიც“ ნორჩი თავდამსხმელის ყიდვას აპირებს.

მადრიდულ გრანდს აკინოს კლუბ „მურსიასთან“ წინასწარი ხელშეკრულება აკავშირებს და დანის ტრანსფერიც, სავარაუდოდ, უახლოეს დღეებში გაიჩარხება.

აკინოს მამა თავის დროზე „ალბასეტეს“ და „მურსიას“ ფეხბურთელი იყო, თავად დანიმ კი კორეაში ლაზათიანი ბურთაობით სპეციალისტთა ყურადღება მიიპყრო და „სამეფო თეთრებმაც“ ესპანეთის ნაკრების წევრის შემატება გადაწყვიტეს.

დანი აკინოს ყიდვის უფლება მადრიდის „რეალმა“ ამ ზაფხულს ალვარო მეხიას „მურსიაში“ გასხვისების დროს მოიპოვა. მაშინ მადრიდელი ცენტრალური მცველის შეძენა სხვა კლუბებსაც უნდოდათ, მაგრამ რახან სატრანსფერო ოპერაციაში ჩაუქი აკინოს გვარმა გაიჟღერა, „ბერნაბეუს“ თავკაცობამ მეხია „მურსიაში“ გაუშვა.

ანდალუზიელი ფორვარდის მადრიდულ მთავარგუნდში ჩარიცხვის ამბავს „ბერნაბეუზე“ მალე ოფიციალურად გამოაცხადებენ. აკინო თავიდან „რეალ კასტილიაში“ ითამაშებს, დაბალ ლიგაში ყოჩაღობის შემთხვევაში კი მას ალბათ მთავარ გუნდშიც ვიხილავთ.

**ლადო ხომერიკი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## რენე იგიტა 41 წლისაა

# ვთამაშობ და კიდევ ვითამაშებ!

27 აგვისტოს „მორიელის დარტყმით" ცნობილი, ქარიზმატული კოლუმბიელი მეკარე რენე იგიტა 41 წლის გახდა. ვეტერანი გოლკიპერი ამჟამად ვენესუელის პირველ დივიზიონში ახალაღზევებულ „გუაროს დელ ლარაში" ირიცხება და კარიერის დასრულებაზე ჯერ არც ფიქრობს — კიდევ ოთხი წელი უნდა ვითამაშოო...

**— რენე, ცოტა დაგვიანებით გილოცავთ დაბადების დღეს...**

— გმადლობთ. დაბადების დღე მშვენივრად აღვნიშნე — მოკრძალებული და სასიამოვნო წვეულება მქონდა სასტუმროში.

**— როგორ გრძნობს თავს 41 წლის რენე იგიტა?**

— მშვენივრად, ახლა ძალიან ბედნიერი ვარ. ჩემი გუნდი პირველ დივიზიონში აღზევდა — ასეთ შანსს დიდი ხანი ველოდი და ამისთვის ვემზადებოდი. ვეცდები, მთელი ჩემი გამოცდილება გამოვიყენო და ვენესუელას ბოლომდე შევეგუო. ასაკის მატებასთან ერთად უფრო თავდაჯერებულიც ვხდები.

**— ხშირად ამბობენ, არაფერია იმაზე უკეთესი, როცა გუნდში გამოცდილი მეკარეაო. ალბათ, კლუბში თქვენც გრძნობთ, რომ სხვებზე ბევრად გამოცდილი ხართ და ყველა პატივისცემით გეპყრობათ...**

— დიახ, ვფიქრობ ასეა. როცა საკმაოდ გამოცდილი და ასაკოვანი ხარ, შენს საქმეს ბევრად უფრო მშვიდად აკეთებ და უკეთ იცი, როდის როგორ უნდა მოიქცე.

**— ვენესუელური ფეხბურთის დღევანდელ მდგომარეობაზე რას იტყვით?**

— აქ ფეხბურთი ვითარდება. ვენესუელას რამდენიმე საოცრად ტექნიკური მოთამაშე ჰყავს. მთავარი პრობლემა კი ის იყო, რომ თავად ისინი და ხალხი ვერ ხედავდნენ ამ ნიჭს, მაგრამ ახლა ვითარება იცვლება. ეროვნული ნაკრები დღითიდღე უმატებს და კარგ თამაშებთან ერთად, ზოგჯერ კარგ შედეგებსაც აღწევს. ამჟამად ყველაზე მთავარი ის გახლავთ, რომ ფეხბურთელებმა ხალხის სიყვარული მოიპოვეს, რაც ადვილად მისაღწევი ნამდვილად არ არის.

**— თამაშის კვლავ ძველებური, რისკიანი სტილი გაქვთ?**

— ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ თამაშობს გუნდი. თუ საჭიროა, რომ ხანდახან ცოტა წინაც გამოვიდე, ამას სიამოვნებით გავაკეთებ. სხვა შემთხვევაში კი, ასევე უპრობლემოდ, როგორც ჩვეულებრივი მეკარე, ისე ვითამაშებ.

**— „მორიელის დარტყმა" წარსულში დარჩა?**

— არა, „მორიელის დარტყმაზე" ისევ ვვარჯიშობ ხოლმე. არავინ იცის, როდის დამჭირდება ამის გაკეთება. ასე რომ, თვალი ადევნეთ ჩემს თამაშებს.

**— უკვე მრავალი წელია, თამაშობთ და მინდორზე კვლავ ლურჯი ტრუსებით გადიხართ ხოლმე?**

— დიახ, ყოველთვის! 80-იანი წლების ბოლოს „ატლეტიკო ნასიონალმა" „მილიონარიოსთან" წააგო. ამ შეხვედრის შემდეგ მე და კარლოს პერეა ერთ ნათელმხილველ ქალთან წავედით. მან გვითხრა, ვილაცამ ჯადო გაგიკეთათ და ყველა მოთამაშეს ქამრები და ლურჯი ტრუსები გამოგვიგზავნა. ამან ბრწყინვალედ იმოქმედა — მოგებას მოგება მოჰყვა და ყველაფერი იმით დასრულდა, რომ ლიბერტადორესის თასი მოვიპოვეთ. მას მერე აღარც მომიცილებია ლურჯი ტრუსები.

**— როგორი მოგონებები დაგიტოვათ იტალიის 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატმა, რომელმაც პოპულარობა მოგიტანათ?**

— მახსოვს, იტალიაში სრულიად გამოუცდელი გუნდით ჩავედით და მეტოქეებზე არაფერი ვიცოდით. თუმცა ნაკრები ძალიან ნიჭიერი მოთამაშეებით იყო დაკომპლექტებული და კოლუმბიის სახელი ნამდვილად ღირსეულად დავიცავით.

**— ხალხი კვლავ გახსენებთ გოლს, რომელიც როჟე მილამ გაგიტანათ?**

— ხალხს ორი რამის გამო ვახსოვარ: კამერუნთან მატჩში თქვენს მიერ ხსენებული გოლის გამო, როცა წინ გამოვედი და ბურთი დავკარგე და „მორიელის დარტყმის" გამო. ამ ორ ეპიზოდს, ფაქტობრივად, ერთად მახსენებენ ხოლმე. ეს ფეხბურთია და ეს არის ცხოვრება. ყოველთვის არიან გამარჯვებულები და დამარცხებულები, კარგი და ცუდი ხალხი, სქელი და გამხდარი, მაღალი და დაბალი ადამიანები... ჩვენ კი ყველაფერი ისე უნდა მივიღოთ, როგორც არის.

**— როდესაც მილას იმ გოლს იხსენებთ, ნანობთ თქვენს საქციელს?**

— არა, არა! ბურთი ფეხით ავიგდე და ეს, უბრალოდ, ცუდად გავაკეთე. უკვე ჩავლილი ეპიზოდია, წარსულში დარჩა.

**— ბევრი ამბობს, რომ დიდი მეკარეები ყოველთვის ცოტა გიჟები არიან. ეთანხმებით ამას?**

— იმასაც ამბობენ, ყველა გენიოსი ცოტა გიჟიაო. სანამ მეკარეებს, რომლებსაც ფეხით თამაში და წინ გამოსვლა უყვართ, გიჟებს ვუწოდებთ, მოდით, ვთქვათ, რომ ფიფას ახალი წესებისა და თანამედროვე ფეხბურთის სტილის გათვალისწინებით, გოლკიპერებს უფრო და უფრო ხშირად გვიწევს თამაშში აქტიურად ჩართვა.

**— ბოლო წლებში ბევრი რამ გადაგხდათ თავს — დაჭერილი იყავით დოპინგის ხმარების გამო, მონაწილეობდით სხვადასხვა სატელევიზიო შოუებში და იმუშავეთ მეკარეების მწვრთნელადაც. რას იტყვით ამ ყველაფერთან დაკავშირებით?**

— ეს ყველაფერი ცხოვრების შემადგენელი ნაწილია და ისე უნდა მივიღო, როგორც არის. ბევრჯერ კარგ ვითარებაში აღმოვჩნდი, ისევე, როგორც ცუდში. მთავარია, ყველა ბარიერი გადალახო და რაოდენ რთული პრობლემაც არ უნდა შეგექმნას, გაუმკლავდე. ადამიანი შეცდომებზე სწავლობს და სხვებისთვის სამაგალითო ხდება, რათა მათ არ გაიმეორონ იგივე. მადლობა ღმერთს, ყველა გამოცდისთვის და იმ ძალისთვის, რომელიც მათ დასაძლევად მომცა. საბედნიეროდ, ყველაფერი ცუდი წარსულში დარჩა და შემიძლია, ჩემი გამოცდილება სხვებს გავუზიარო.

**— როგორ ფიქრობთ, ხალხი თქვენ მიმართ ზედმეტად კრიტიკულია?**

— არ ვიცი. მე ნორმალური ცხოვრებით ვცხოვრობ, რომელშიც ბევრი კარგი და ცუდი რამ შედის. ჩემდა საბედნიეროდ, უკვე საკმაოდ გამოცდილი ვარ და შემიძლია, ჩემს შვილებს ბევრი რამ ვასწავლო.

**— ფეხბურთს დავუბრუნდეთ. კოლუმბიის ახლანდელ ნაკრებზე რას იტყვით?**

— ვფიქრობ, ისინი სამხრეთ ამერიკის შესარჩევ ეტაპს კარგად ჩაატარებენ და გვასახელებენ. ჩვენ ამით ვიამაყებთ. ნაკრებს წარმატებისთვის ყველაფერი აქვს — პატივისცემა, კარგი ფეხბურთი და ყველა პოზიციაზე მაღალი კლასის მოთამაშეები. არ გამკვირვებია, რომ ბოლო დროს ნაკრებს პრობლემები ჰქონდა. ფეხბურთში ასეა — ხან მოიგებ, ხან წააგებ, ხან გაკრიტიკებენ, ხანაც გაქებენ...

**— თუ გაქვთ კიდევ ისეთი ოცნება, რომელიც ჯერ არ აგხდენიათ და კიდევ დიდხანს აპირებთ სათამაშო კარიერის გაგრძელებას?**

— დიახ, კიდევ ბევრი ოცნება მაქვს და ჩემი მიზანია, იქამდე ვითამაშო, სანამ 45 წლის გავხდები. სწორედ ამის გამო ვთქვი უარი ყველა შემოთავაზებებზე, რომელიც ბოლო დროს მივიღე. მთავაზობდნენ პოლიტიკაში წასვლას, ტელეშოუების წაყვანას, მწვრთნელობასა და ასე შემდეგ. თუმცა ამ ყველაფერს თამაში მირჩევნია. კვლავ ძალიან მოტივირებული ვარ.

**— ყველაზე მეტად რომელი მეკარეები მოგწონთ?**

— მომწონს რობერტო აბონდანსიერი და თამაშის მისი ცივსისხლიანი სტილი. იკერ კასილიასი მაღალი კლასის მეკარეა. საოცარია ჯანლუიჯი ბუფონი. ის, რაც მან 2006 წლის მუნდიალზე გააკეთა, კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ მეკარე გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანი მოთამაშეა. იგი იტალიის წარმატების ფუნდამენტი გახლდათ, რაც დასამახსოვრებელია. მით უმეტეს, ბრაზილიის ფონზე რომელიც რამდენჯერმე გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, მაგრამ მისი მეკარე გამორჩეული არასდროს ყოფილა.

**— დაბოლოს, სათამაშო კარიერის დასრულების შემდეგ როგორ გინდათ, რომ დაგიმახსოვრონ?**

— მოდი, ჯერ დავიცადოთ. იქამდე ჯერ კიდევ საკმაო დროა და შესაძლოა, ბევრი რამ მოხდეს. ყველაზე კარგი, რაც შეიძლება, ხალხმა თქვას, ეს არის — იგიტა სხვების მსგავსი, ჩვეულებრივი ფეხბურთელი და კაცი იყო. ადამიანი, რომელიც ბევრჯერ შეცდა, მაგრამ კარგი რამეებიც გააკეთა.

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

ინგლისი. პრემიერლიგა

15 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:00 | 1 | ევერტონი-მანჩესტერი | 4.20 | 3.40 | 1.70 | 1.87 | 1.21 | 1.13 |
| 15:45 | 2 | პორტსმუთი-ლივერპული | 4.50 | 3.30 | 1.70 | 1.90 | 1.23 | 1.12 |
| 16:30 | 3 | ტოტენჰემი-არსენალი | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 18:00 | 4 | ბირმინგემი-ბოლტონი | 2.40 | 3.20 | 2.60 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| 18:00 | 5 | სანდერლენდი-რედინგი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 18:00 | 6 | ვესტ ჰემი-მიდლსბრო | 1.90 | 3.20 | 3.65 | 1.19 | 1.24 | 1.70 |
| 20:15 | 7 | ჩელსი-ბლექბერნი | 1.30 | 4.30 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 2.90 |
| 18:00 | 455 | უიგანი-ფულემი | 1.90 | 3.20 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| | | 16 სექტემბერი | | | | | | |
| 19:00 | 8 | სიტი-ასტონ ვილა | 2.00 | 3.20 | 3.30 | .23 | 1.24 | 1.62 |
| | | 17 სექტემბერი | | | | | | |
| 23:00 | 9 | დერბი-ნიუკასლი | 3.80 | 3.20 | 1.85 | 1.73 | 1.24 | 1.17 |

ინგლისი. კონფერენსი

11 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 528 | გრეისი-ოქსფორდი | 2.65 | 3.20 | 2.30 | 1.44 | 1.23 | 1.33 |
| 22:45 | 529 | ჰალიფაქსი-უოკინგი | 1.90 | 3.20 | 3.55 | 1.19 | 1.23 | 1.68 |

შოტლანდია. პრემიერლიგა

15 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 56 | გრეტნა-კილმარნოკი | 3.40 | 3.20 | 1.95 | 1.64 | 1.23 | 1.21 |
| 15:30 | 57 | ჰართსი-რეინჯერსი | 4.00 | 3.40 | 1.75 | 1.83 | 1.21 | 1.15 |
| 18:00 | 58 | აბერდინი-მოზერუელი | 1.70 | 3.30 | 4.40 | 1.12 | 1.22 | 1.88 |
| 18:00 | 59 | სელტიკი-ინვერნესი | 1.12 | 6.20 | 15.00 | 1.00 | 1.04 | 4.38 |
| 18:00 | 61 | ფოლკირკი-ჰიბერნიანი | 3.25 | 3.20 | 2.00 | 1.61 | 1.23 | 1.23 |
| | | 16 სექტემბერი | | | | | | |
| 18:00 | 60 | დანდი იუნაიტედ-სტმირენი | 1.70 | 3.30 | 4.45 | 1.12 | 1.23 | 1.89 |

შოტლანდია. I დივიზიონი

15 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 62 | დანდი-დანფერმლაინი | 2.05 | 3.40 | 2.90 | 1.27 | 1.20 | 1.56 |
| 18:00 | 63 | ჰამილტონი-სტირლინგი | 1.60 | 3.70 | 4.20 | 1.11 | 1.15 | 1.96 |
| 18:00 | 64 | ლივინგსტონი-მორტონი | 2.25 | 3.40 | 2.55 | 1.35 | 1.19 | 1.45 |
| 18:00 | 65 | ქუინი-კლაიდი | 2.00 | 3.40 | 3.00 | 1.25 | 1.20 | 1.59 |
| 18:00 | 66 | სტ-ჯონსტონი-პარტიკი | 1.75 | 3.40 | 3.70 | 1.15 | 1.18 | 1.77 |

შვეიცარია. ჩელენჯლიგა

12 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:45 | 549 | ლოზანა-სერვეტი | 2.25 | 3.20 | 2.70 | 1.32 | 1.22 | 1.46 |

იტალია. სერია A

15 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 129 | ლაციო-ემპოლი | 1.60 | 3.20 | 5.70 | 1.06 | 1.24 | 2.04 |
| 20:00 | 134 | სიენა-მილანი | 7.00 | 3.40 | 1.45 | 2.28 | 1.20 | 1.01 |
| | | 16 სექტემბერი | | | | | | |
| 17:00 | 125 | ფიორენტინა-ატალანტა | 1.40 | 3.40 | 8.50 | 1.00 | 1.20 | 2.42 |
| 17:00 | 126 | ჯენოა-ლივორნო | 1.75 | 3.10 | 4.50 | 1.11 | 1.25 | 1.83 |
| 17:00 | 127 | ინტერი-კატანია | 1.15 | 5.50 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 3.77 |
| 17:00 | 128 | იუვენტუსი-უდინეზე | 1.25 | 4.60 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 2.98 |
| 17:00 | 130 | ნაპოლი-სამპდორია | 2.05 | 2.80 | 3.70 | 1.18 | 1.31 | 1.59 |
| 17:00 | 131 | პალერმო-ტორინო | 1.65 | 3.20 | 5.00 | 1.08 | 1.24 | 1.95 |
| 22:30 | 132 | პარმა-კალიარი | 2.30 | 2.90 | 3.00 | 1.28 | 1.30 | 1.47 |
| 17:00 | 133 | რეჯინა-რომა | 6.50 | 3.40 | 1.50 | 2.23 | 1.21 | 1.04 |

ესპანეთი. I დივიზიონი

15 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 165 | ბილბაო-სარაგოსა | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| 22:00 | 169 | რეალი-ალმერია | 1.15 | 6.00 | 15.00 | 1.00 | 1.06 | 4.28 |
| 22:00 | 170 | ვალენსია-ვალიადოლიდი | 1.40 | 3.80 | 7.00 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| | | 16 სექტემბერი | | | | | | |
| 23:00 | 164 | ოსასუნა-ბარსელონა | 6.00 | 3.50 | 1.50 | 2.21 | 1.20 | 1.04 |
| 19:00 | 166 | რასინგი-ლევანტე | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 19:00 | 167 | მურსია-ატლეტიკო | 3.00 | 3.10 | 2.20 | 1.52 | 1.26 | 1.28 |
| 19:00 | 168 | მალიორკა-ვილიარეალი | 2.40 | 3.10 | 2.75 | 1.35 | 1.28 | 1.45 |
| 19:00 | 171 | დეპორტივო-ბეტისი | 2.20 | 3.10 | 3.00 | 1.28 | 1.26 | 1.52 |
| 19:00 | 172 | ესპანიოლი-ხეტაფე | 2.05 | 3.10 | 3.30 | 1.23 | 1.26 | 1.59 |
| 21:00 | 173 | სევილია-ველვა | 1.40 | 3.80 | 7.00 | 1.02 | 1.16 | 2.46 |

შვედეთი. სუპერეტა

13 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 350 | ლანდსკრონა-სუნდსვალი | 2.40 | 3.30 | 2.50 | 1.38 | 1.22 | 1.42 |
| 21:00 | 351 | ბეკენი-იორგრიტე | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| 21:00 | 578 | ბანკეფლო-ატვიდაბერგი | 2.30 | 3.30 | 2.65 | 1.35 | 1.23 | 1.46 |

ევ.შესარჩევი მატჩები

12 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 495 | ყაზახეთი-ბელგია | 4.70 | 3.40 | 1.60 | 1.97 | 1.19 | 1.08 |
| 20:00 | 496 | ფინეთი-პოლონეთი | 2.45 | 3.10 | 2.50 | 1.36 | 1.23 | 1.38 |
| 20:00 | 497 | ანდორა-ხორვატია | 30.00 | 8.50 | 1.02 | 6.62 | 1.00 | 1.00 |
| 20:30 | 499 | სლოვაკეთი-უელსი | 1.60 | 3.30 | 4.80 | 1.07 | 1.20 | 1.95 |
| 21:00 | 500 | ლიტვა-ფარერები | 1.11 | 6.00 | 15.00 | 1.00 | 1.03 | 4.28 |
| 21:00 | 502 | ნორვეგია-საბერძნეთი | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 21:00 | 503 | კვიპროსი-სან მარინო | 1.05 | 8.00 | 20.00 | 1.00 | 1.00 | 5.71 |
| 21:30 | 505 | თურქეთი-უნგრეთი | 1.32 | 4.00 | 8.00 | 1.00 | 1.13 | 2.66 |
| 21:30 | 506 | თურქეთი-უნგრეთი 0:1 | 1.85 | 3.50 | 2.50 | | | |
| 21:30 | 507 | ბულგარეთი-ლუქსემბურგი | 1.02 | 8.00 | 35.00 | 1.00 | 1.00 | 6.51 |
| 22:00 | 509 | ბოსნია-მოლდოვა | 1.25 | 4.50 | 9.50 | 1.00 | 1.10 | 3.05 |
| 22:00 | 510 | დანია-ლიხტენშტეინი | 1.02 | 8.00 | 35.00 | 1.00 | 1.00 | 6.51 |
| 22:00 | 512 | სლოვენია-ბელარუსი | 1.90 | 3.20 | 3.45 | 1.19 | 1.22 | 1.66 |
| 22:00 | 513 | ისლანდია-ჩრდ.ირლანდია | 2.45 | 3.10 | 2.50 | 1.36 | 1.23 | 1.38 |
| 22:30 | 514 | ჩეხეთი-ირლანდია | 1.60 | 3.30 | 5.00 | 1.07 | 1.21 | 1.98 |
| 22:30 | 515 | მაკედონია-ესტონეთი | 1.38 | 3.90 | 7.00 | 1.01 | 1.15 | 2.50 |
| 22:45 | 516 | უკრაინა-იტალია | 3.30 | 3.00 | 2.00 | 1.57 | 1.24 | 1.20 |
| 22:45 | 517 | ალბანეთი-ჰოლანდია | 10.00 | 5.00 | 1.20 | 3.33 | 1.07 | 1.00 |
| 22:45 | 518 | ალბანეთი-ჰოლანდია 1:0 | 3.30 | 3.50 | 1.65 | | | |
| 23:00 | 519 | საფრანგეთი-შოტლანდია | 1.25 | 4.50 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.00 |
| 23:00 | 520 | საფრანგეთი-შოტლანდია | 0:11.703.403.20 | | | | | |
| 23:00 | 521 | ინგლისი-რუსეთი | 1.50 | 3.40 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.17 |
| 23:00 | 522 | ინგლისი-რუსეთი 0:1 | 2.25 | 3.30 | 2.00 | | | |
| 23:45 | 523 | პორტუგალია-სერბეთი | 1.40 | 3.70 | 7.00 | 1.01 | 1.16 | 2.42 |
| 23:45 | 524 | პორტუგალია-სერბეთი 0:1 | 2.15 | 3.30 | 2.40 | | | |
| 23:45 | 525 | ესპანეთი-ლატვია | 1.07 | 7.00 | 17.00 | 1.00 | 1.00 | 4.95 |

ამხანაგური მატჩები

11 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 13:30 | 429 | ავსტრალია-არგენტინა | 5.30 | 3.50 | 1.50 | 2.10 | 1.16 | 1.04 |
| 22:15 | 430 | შვეიცარია-იაპონია ნ | 2.00 | 3.00 | 3.30 | 1.20 | 1.24 | 1.57 |
| 22:30 | 431 | ავსტრია-ჩილე | 2.00 | 3.00 | 3.25 | 1.20 | 1.23 | 1.55 |
| 23:45 | 489 | კოლუმბია-პარაგვაი | 1.90 | 3.00 | 3.55 | 1.16 | 1.23 | 1.62 |
| | | 12 სექტემბერი | | | | | | |
| 20:30 | 432 | ჩერნოგორია-შვედეთი | 5.20 | 3.50 | 1.45 | 2.09 | 1.13 | 1.02 |
| 22:30 | 486 | გერმანია-რუმინეთი | 1.28 | 4.20 | 8.00 | 1.00 | 1.10 | 2.75 |
| 23:45 | 487 | ვენესუელა-პანამა | 1.30 | 3.50 | 7.50 | 1.00 | 1.10 | 2.38 |
| 23:45 | 488 | მექსიკა-ბრაზილია ნ | 4.50 | 3.30 | 1.60 | 1.90 | 1.18 | 1.07 |
| 23:45 | 490 | ჰონდურასი-ეკვადორი | 2.30 | 3.00 | 2.60 | 1.30 | 1.22 | 1.39 |
| 23:45 | 491 | პერუ-ბოლივია | 1.50 | 3.30 | 4.80 | 1.03 | 1.14 | 1.95 |
| 23:45 | 492 | სამ აფრიკა-ურუგვაი | 2.50 | 3.00 | 2.50 | 1.36 | 1.25 | 1.36 |

ევ. შესარჩევი მატჩები(21)

11 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:30 | 456 | პოლონეთი 21-ყაზახეთი 21 | 1.10 | 6.00 | 15.00 | 1.00 | 1.02 | 4.28 |
| 18:00 | 457 | ხორვატია 21-აზერბაიჯანი 21 | 1.03 | 8.50 | 20.00 | 1.00 | 1.00 | 5.96 |
| 18:00 | 458 | ბულგარეთი 21-ინგლისი 21 | 5.20 | 3.40 | 1.50 | 2.05 | 1.16 | 1.04 |
| 18:00 | 459 | მაკედონია 21-ესტონეთი 21 | 1.50 | 3.40 | 5.30 | 1.04 | 1.16 | 2.07 |
| 18:00 | 460 | ლატვია 21-სან მარინო 21 | 1.03 | 8.50 | 20.00 | 1.00 | 1.00 | 5.96 |
| 18:00 | 461 | მოლდოვა 21-ისრაელი 21 | 4.20 | 3.30 | 1.65 | 1.84 | 1.18 | 1.10 |
| 18:00 | 462 | ალბანეთი 21-იტალია 21 | 9.00 | 4.50 | 1.25 | 3.00 | 1.09 | 1.00 |
| 18:00 | 463 | ლიტვა 21-სლოვენია 21 | 2.75 | 3.20 | 2.15 | 1.47 | 1.20 | 1.28 |
| 20:00 | 464 | სლოვაკეთი 21-ავსტრია 21 | 2.80 | 3.00 | 2.30 | 1.44 | 1.26 | 1.30 |
| 20:00 | 465 | რუმინეთი 21-ბოსნია 21 | 1.35 | 4.00 | 6.50 | 1.00 | 1.11 | 2.47 |
| 21:30 | 466 | ისლანდია 21-ბელგია 21 | 3.10 | 3.00 | 2.05 | 1.52 | 1.23 | 1.21 |
| 23:15 | 467 | პორტუგალია 21-ჩერნოგორია 21 | 1.10 | 6.00 | 15.00 | 1.00 | 1.02 | 4.28 |
| | | 12 სექტემბერი | | | | | | |
| 18:00 | 469 | სომხეთი 21-უკრაინა 21 | 4.60 | 3.40 | 1.60 | 1.95 | 1.18 | 1.08 |
| 18:00 | 470 | უნგრეთი 21-სერბეთი 21 | 2.50 | 3.10 | 2.45 | 1.38 | 1.23 | 1.36 |
| 19:00 | 472 | ჩეხეთი 21-ლიხტენშტეინი 21 | 1.02 | 8.50 | 20.00 | 1.00 | 1.00 | 5.96 |
| 19:15 | 473 | შოტლანდია 21-დანია 21 | 2.80 | 3.00 | 2.30 | 1.44 | 1.26 | 1.30 |

ფეხბურთი. ქალები.

მსოფლიო ჩემპიონატი(ჩინეთი)

11 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 13:00 | 479 | აშშ-კორეა დრ | 1.25 | 4.30 | 6.00 | 1.00 | 1.03 | 2.50 |
| 16:00 | 480 | ინგლისი-იაპონია | 1.90 | 3.30 | 3.00 | 1.20 | 1.16 | 1.57 |
| 16:00 | 481 | შვედეთი-ნიგერია | 1.07 | 6.50 | 10.00 | 1.00 | 1.00 | 3.93 |
| | | 12 სექტემბერი | | | | | | |
| 13:00 | 483 | ბრაზილია-ახ. ზელანდია | 1.07 | 6.50 | 10.00 | 1.00 | 1.00 | 3.93 |
| 16:00 | 484 | ჩინეთი-დანია | 2.15 | 3.20 | 2.65 | 1.28 | 1.18 | 1.44 |
| 16:00 | 485 | ნორვეგია-კანადა | 1.35 | 3.80 | 6.50 | 1.00 | 1.11 | 2.39 |

ჰოკეი. რუსეთი

11 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 556 | დინამო-ნოვოკუზნეცკი | 1.20 | 5.00 | 4.80 | 1.00 | 1.00 | 2.44 |
| 19:00 | 557 | მვდ-სიბირი | 1.60 | 4.20 | 2.50 | 1.15 | 1.00 | 1.56 |
| 19:00 | 558 | აკ-ს.იულაევი | 2.00 | 4.00 | 1.80 | 1.33 | 1.00 | 1.24 |
| 19:00 | 559 | ტორპედო ნ-ხპარტაკი მ | 1.65 | 4.20 | 2.50 | 1.18 | 1.00 | 1.56 |
| 19:00 | 560 | ხიმიკი-ლადა | 1.25 | 4.50 | 4.80 | 1.00 | 1.00 | 2.32 |
| 19:00 | 561 | ცსკა-ავანგარდი | 2.00 | 4.00 | 2.10 | 1.33 | 1.02 | 1.37 |

კალათბურთი ევ 2007 ესპანეთი

11 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 546 | რუსეთი-ხორვატია | 1.30 | 12.00 | 2.80 | 1.17 | 1.00 | 2.27 |
| 18:00 | 547 | საბერძნეთი-პორტუგალია | 1.04 | 12.00 | 6.00 | 1.00 | 1.00 | 4.00 |
| 18:00 | 548 | ესპანეთი-ისრაელი | 1.04 | 12.00 | 6.00 | 1.00 | 1.00 | 4.00 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10429 | ავსტრალია-არგენტინა | 5.00 | 2.10 | 2.00 | 1.47 | 1.42 | 1.02 |
| 10430 | შვეიცარია-იაპონია ნ | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10431 | ავსტრია-ჩილე | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10495 | ყაზახეთი-ბელგია | 5.10 | 2.10 | 2.05 | 1.48 | 1.46 | 1.03 |
| 10496 | ფინეთი-პოლონეთი | 2.85 | 2.00 | 3.10 | 1.17 | 1.48 | 1.21 |
| 10499 | სლოვაკეთი-უელსი | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10502 | ნორვეგია-საბერძნეთი | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10505 | თურქეთი-უნგრეთი | 1.60 | 2.30 | 7.50 | 1.00 | 1.31 | 1.76 |
| 10509 | ბოსნია-მოლდოვა | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |
| 10512 | სლოვენია-ბელარუსი | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10513 | ისლანდია-ჩრდ.ირლანდია | 2.85 | 2.00 | 3.10 | 1.17 | 1.48 | 1.21 |
| 10514 | ჩეხეთი-ირლანდია | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10515 | მაკედონია-ესტონეთი | 1.65 | 2.30 | 6.80 | 1.00 | 1.32 | 1.71 |
| 10516 | უკრაინა-იტალია | 3.70 | 2.00 | 2.40 | 1.29 | 1.45 | 1.09 |
| 10517 | ალბანეთი-ჰოლანდია | 9.00 | 2.70 | 1.40 | 2.07 | 1.21 | 1.00 |
| 10519 | საფრანგეთი-შოტლანდია | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |
| 10521 | ინგლისი-რუსეთი | 1.90 | 2.10 | 5.80 | 1.00 | 1.43 | 1.54 |
| 10523 | პორტუგალია-სერბეთი | 1.75 | 2.30 | 6.50 | 1.00 | 1.37 | 1.69 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11429 | ავსტრალია-არგენტინა | 8.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.20 |
| 11430 | შვეიცარია-იაპონია ნ | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11431 | ავსტრია-ჩილე | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11495 | ყაზახეთი-ბელგია | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.40 |
| 11496 | ფინეთი-პოლონეთი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11499 | სლოვაკეთი-უელსი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11502 | ნორვეგია-საბერძნეთი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11505 | თურქეთი-უნგრეთი | 1.65 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11509 | ბოსნია-მოლდოვა | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11512 | სლოვენია-ბელარუსი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11513 | ისლანდია-ჩრდ.ირლანდია | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11514 | ჩეხეთი-ირლანდია | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11515 | მაკედონია-ესტონეთი | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11516 | უკრაინა-იტალია | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11517 | ალბანეთი-ჰოლანდია | 12.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 1.65 |
| 11519 | საფრანგეთი-შოტლანდია | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11521 | ინგლისი-რუსეთი | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11523 | პორტუგალია-სერბეთი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12429 | ავსტრალია-არგენტინა | 1.80 | 1.60 |
| 12430 | შვეიცარია-იაპონია ნ | 1.60 | 1.80 |
| 12431 | ავსტრია-ჩილე | 1.60 | 1.80 |
| 12495 | ყაზახეთი-ბელგია | 1.60 | 1.90 |
| 12496 | ფინეთი-პოლონეთი | 1.60 | 1.90 |
| 12499 | სლოვაკეთი-უელსი | 1.80 | 1.60 |
| 12502 | ნორვეგია-საბერძნეთი | 1.50 | 2.00 |
| 12505 | თურქეთი-უნგრეთი | 1.85 | 1.60 |
| 12509 | ბოსნია-მოლდოვა | 1.80 | 1.60 |
| 12512 | სლოვენია-ბელარუსი | 1.60 | 1.80 |
| 12513 | ისლანდია-ჩრდ.ირლანდია | 1.60 | 1.80 |
| 12514 | ჩეხეთი-ირლანდია | 1.60 | 1.80 |
| 12515 | მაკედონია-ესტონეთი | 1.60 | 1.80 |
| 12516 | უკრაინა-იტალია | 1.60 | 1.80 |
| 12517 | ალბანეთი-ჰოლანდია | 1.80 | 1.60 |
| 12519 | საფრანგეთი-შოტლანდია | 1.60 | 1.80 |
| 12521 | ინგლისი-რუსეთი | 1.60 | 1.80 |
| 12523 | პორტუგალია-სერბეთი | 1.60 | 1.80 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13495 | ყაზახეთი-ბელგია | 1.80 | 1.60 |
| 13496 | ფინეთი-პოლონეთი | 1.60 | 1.80 |
| 13499 | სლოვაკეთი-უელსი | 1.60 | 1.80 |
| 13502 | ნორვეგია-საბერძნეთი | 1.80 | 1.60 |
| 13505 | თურქეთი-უნგრეთი | 1.60 | 1.80 |
| 13509 | ბოსნია-მოლდოვა | 1.90 | 1.60 |
| 13512 | სლოვენია-ბელარუსი | 1.60 | 1.80 |
| 13513 | ისლანდია-ჩრდ.ირლანდია | 1.60 | 1.80 |
| 13514 | ჩეხეთი-ირლანდია | 1.60 | 1.80 |
| 13515 | მაკედონია-ესტონეთი | 1.60 | 1.80 |
| 13516 | უკრაინა-იტალია | 1.60 | 1.80 |
| 13517 | ალბანეთი-ჰოლანდია | 1.90 | 1.55 |
| 13519 | საფრანგეთი-შოტლანდია | 1.80 | 1.60 |
| 13521 | ინგლისი-რუსეთი | 1.80 | 1.60 |
| 13523 | პორტუგალია-სერბეთი | 1.80 | 1.60 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15429 | ავსტრალია-არგენტინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15430 | შვეიცარია-იაპონია ნ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15431 | ავსტრია-ჩილე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15495 | ყაზახეთი-ბელგია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15496 | ფინეთი-პოლონეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15499 | სლოვაკეთი-უელსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15502 | ნორვეგია-საბერძნეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15512 | სლოვენია-ბელარუსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15513 | ისლანდია-ჩრდ.ირლანდია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15514 | ჩეხეთი-ირლანდია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15516 | უკრაინა-იტალია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15521 | ინგლისი-რუსეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15523 | პორტუგალია-სერბეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14429 | ავსტრალია-არგენტინა | 2.50 | 1.30 |
| 14430 | შვეიცარია-იაპონია ნ | 1.70 | 2.20 |
| 14431 | ავსტრია-ჩილე | 1.70 | 2.20 |
| 14495 | ყაზახეთი-ბელგია | 2.50 | 1.30 |
| 14496 | ფინეთი-პოლონეთი | 1.85 | 1.95 |
| 14499 | სლოვაკეთი-უელსი | 1.30 | 2.50 |
| 14502 | ნორვეგია-საბერძნეთი | 1.70 | 2.20 |
| 14505 | თურქეთი-უნგრეთი | 1.20 | 2.60 |
| 14509 | ბოსნია-მოლდოვა | 1.08 | 2.90 |
| 14512 | სლოვენია-ბელარუსი | 1.70 | 2.20 |
| 14513 | ისლანდია-ჩრდ.ირლანდია | 1.85 | 1.95 |
| 14514 | ჩეხეთი-ირლანდია | 1.30 | 2.50 |
| 14515 | მაკედონია-ესტონეთი | 1.20 | 2.60 |
| 14516 | უკრაინა-იტალია | 2.20 | 1.70 |
| 14519 | საფრანგეთი-შოტლანდია | 1.08 | 2.90 |
| 14521 | ინგლისი-რუსეთი | 1.30 | 2.50 |
| 14523 | პორტუგალია-სერბეთი | 1.20 | 2.60 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16429 | ავსტრალია-არგენტინა | 3.60 | 1.23 |
| 16430 | შვეიცარია-იაპონია ნ | 1.40 | 2.55 |
| 16431 | ავსტრია-ჩილე | 1.40 | 2.55 |
| 16495 | ყაზახეთი-ბელგია | 3.30 | 1.25 |
| 16496 | ფინეთი-პოლონეთი | 1.75 | 1.85 |
| 16499 | სლოვაკეთი-უელსი | 1.22 | 3.40 |
| 16502 | ნორვეგია-საბერძნეთი | 1.40 | 2.55 |
| 16505 | თურქეთი-უნგრეთი | 1.08 | 5.00 |
| 16509 | ბოსნია-მოლდოვა | 1.05 | 5.70 |
| 16512 | სლოვენია-ბელარუსი | 1.34 | 2.80 |
| 16513 | ისლანდია-ჩრდ.ირლანდია | 1.75 | 1.85 |
| 16514 | ჩეხეთი-ირლანდია | 1.22 | 3.40 |
| 16515 | მაკედონია-ესტონეთი | 1.10 | 5.50 |
| 16516 | უკრაინა-იტალია | 2.30 | 1.48 |
| 16517 | ალბანეთი-ჰოლანდია | 6.00 | 1.05 |
| 16519 | საფრანგეთი-შოტლანდია | 1.05 | 5.70 |
| 16521 | ინგლისი-რუსეთი | 1.14 | 4.70 |
| 16523 | პორტუგალია-სერბეთი | 1.11 | 5.70 |

## გოლი: წყვილი-1 თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17429 | ავსტრალია-არგენტინა | 1.85 | 1.95 |
| 17430 | შვეიცარია-იაპონია ნ | 1.85 | 1.95 |
| 17431 | ავსტრია-ჩილე | 1.85 | 1.95 |
| 17495 | ყაზახეთი-ბელგია | 1.85 | 1.95 |
| 17496 | ფინეთი-პოლონეთი | 1.85 | 1.95 |
| 17499 | სლოვაკეთი-უელსი | 1.85 | 1.95 |
| 17502 | ნორვეგია-საბერძნეთი | 1.85 | 1.95 |
| 17505 | თურქეთი-უნგრეთი | 1.85 | 1.95 |
| 17509 | ბოსნია-მოლდოვა | 1.85 | 1.95 |
| 17512 | სლოვენია-ბელარუსი | 1.85 | 1.95 |
| 17513 | ისლანდია-ჩრდ.ირლანდია | 1.85 | 1.95 |
| 17514 | ჩეხეთი-ირლანდია | 1.85 | 1.95 |
| 17515 | მაკედონია-ესტონეთი | 1.85 | 1.95 |
| 17516 | უკრაინა-იტალია | 1.85 | 1.95 |
| 17517 | ალბანეთი-ჰოლანდია | 1.85 | 1.95 |
| 17519 | საფრანგეთი-შოტლანდია | 1.85 | 1.95 |
| 17521 | ინგლისი-რუსეთი | 1.85 | 1.95 |
| 17523 | პორტუგალია-სერბეთი | 1.85 | 1.95 |

რაგბი

# RUGBY WORLD CUP 2007

**საფრანგეთი. 7 სექტემბერი — 20 ოქტომბერი**

9 სექტემბერი. ბორდო

**ირლანდია 32:17 ნამიბია**

ირლანდია: დემფსი, თრიმბლი, ოდრისკოლი (კაპ), დარსი, ჰიკი; ოგარა, სტრინგერი; ლემი, დ. ვოლესი, ისტერბი, ოკონელი, ოკალაჰანი, ჰეიესი, რ. ბესტი, ჰორანი
სათადარიგოები: ფლანერი, ოკელი, მერფი, ს. ბესტი, ნ. ბესტი, ბოსი, პ. ვოლესი
4 ლ: ოდრისკოლი, ფლანერი, ისტერბი, თრიმბლი; 3 გ: ოგარა; 2 ს: ოგარა
ნამიბია: ლოსტერი, ვიტბოი, ლანგენჰოვენი, ფანცული, ბოკი; ვესელსი, იანტხესი; ბურხერი, სენეკალი, ნიუვენჰუისი, ესტერჰუიზი, კაზომბიაზე, დიუტუა, ჰორნი, ლენსინხი (კაპ)
სათადარიგოები: მეიერი, რედეინჰუისი, მაკენზი, დიუპლესი, ფან ტონდერი, ბოუცი, აფრიკა
2 ლ: ნიუვენჰუისი, ფანცული; 2 გ: ვესელსი; 1 ს: ვესელსი

# ქართველებო, გაფრთხილდით: ნამიბია გუნდია

**ირლანდიელებმა** თამაში საკმაოდ ომახიანად დაიწყეს ბრაიან ოდრისკოლმა და ენდრიუ ტრიმბლიმ მატჩის დასაწყისშივე გაიტანეს ლელოები. ირლანდიელები ნამიბიის ნაკრების განადგურების შემთხვევაში ჯგუფში უშუალო მეტოქე არგენტინასა საფრანგეთს საკუთარ სიძლიერეში დაარწმუნებდნენ და დააფრთხობდნენ.

თუმცა მოვლენები საკმაოდ დრამატულად განვითარდა. ჯეჯგვი აფრიკელები სულაც არ აპირებდნენ უბრძოლველად დანებებას.

პირველი ტაიმის განმავლობაში კუნძულელთა უპირატესობა აშკარა იყო, მაგრამ ამ მასობრივ ზეწოლას ხელმოსაჭიდი შედეგი ვერ მოჰქონდა. ირლანდიელებს მთელი 31 წუთი დასჭირდათ ოცი ქულის მოსაგროვებლად. მართალია, ნამიბიელებს შეტევაში ბევრი არაფერი გაუკეთებიათ, მაგრამ თავს მედგრად იცავდნენ და ხელსაყრელ სიტუაციას და მომენტს ელოდნენ.

ტაიმი 20:3 დამთავრდა ირლანდიის სასარგებლოდ. მეორე ნახევარში ნამიბიელები გავეშებულები ეძგერნენ კუნძულელებს, დარჩენილ დროშიც მათივე უპირატესობით და კარნახით მიმდინარეობდა მოვლენები. სადღაც 66-ე წუთისთვის ანგარიში უკვე 27:17 გახდა და მატჩში გარდატეხის შესატანად და მსოფლიოს თასზე მეორე სენსაციის დასაფიქსირებლად აფრიკელებს საკმაო დროც ჰქონდათ, ხოლო „სამყურები" ისევ აგრძელებდნენ ინერტულ და არადამაჯერებელ რაგბობას. ნამიბიას არ ეყო სათამაშო კლასი და ვერ გამოიყენა ფსიქოლოგიური თუ ტერიტორიული უპირატესობა, თორემ ქულების გროვების საშუალება ირლანდიელებმა მათ უხვად მისცეს. ბოლოს შეცვლაზე შესულმა კუნძულელმა ჯერი ფლანერიმ მეოთხე ლელოც გაშანსა და ირლანდიის ნაწვალებ-ნაჯახირები გამარჯვება პრემიალურ ქულასთან ერთად მოუტანა.

ნამიბიელებს, ქართველი „ლელოების" მსგავსად, არასდროს უმარჯვიათ მსოფლიოს თასებზე. მიუხედავად „სამყურებთან" ეფექტური რაგბობისა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ საფრანგეთს ან არგენტინას რამე დააკლონ.

**ზურაბ მიზრიაული**



ბრაიან ოდრისკოლის ირლანდიას ნამიბიისგან დიდი წინააღმდეგობა შეხვდა



AFP

# IRB და 40 დაყაჩაღებული

**რაგბის** საერთაშორისო საბჭოს მსოფლიოს თასზე 40 მედიაჯგუფი აუჯანყდა და საქმე შეიძლება ბოიკოტამდეც მივიდეს. ამ ორმოც აჯანყებულს შორის არიან ისეთი მედია-გიგანტები, როგორებიცაა „როიტერი", „ფრანს-პრესი", „ასოშეიტედ-პრესი", „გეთ-იმიჯიზი" და ფრანგული გამოცემა „ეკიპი".

მედიელთა უკმაყოფილება რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) უაზრო მონოპოლიზაციამ გამოიწვია. მსოფლიოს რაგბის კონსერვატორმა მამებმა მედია-ჯგუფებს თავიანთ ვებ-გვერდებზე მსოფლიოს თასის მატჩების ათფოტოიანი ლიმიტი დაუწესეს. საქმე სასამართლომდე მივიდა და IRB-ის დათმობაზე წასვლამ მოუწია, ოღონდ ლიმიტის ოთხჯერ გაზრდის სანაცვლოდ ტურნირზე გადაღებული ყველა ფოტოს და ვიდეორგოლის თავის საკუთრებაში გადაცემას ითხოვს. დამოუკიდებელი მედია ამაზე, ცხადია, არ წავიდა და ისევ სასამართლოს მიმართა.

საქმეში საფრანგეთის მთავრობა და ევროკავშირიც ჩაერია, მაგრამ IRB ჯიუტობს და პოზიციებს არ თმობს. ორმოცი აჯანყებული საინფორმაციო საშუალება კი პროტესტის ნიშნად ჯერჯერობით ტურნირს მინიმალურად აშუქებს და თუ რაგბის მამები დათმობაზე არ წავლენ პლეი ოფის ბოიკოტირებას აპირებენ.

**ბაჩო სვანიძე**

# RUGBY WORLD CUP 2007

საფრანგეთი. 7 სექტემბერი — 20 ოქტომბერი

საქართველოს ნაკრების თამაშებს წარმოგიდგენთ VEGA SLOT

**1** დავით ხინჩაგაშვილი



ბურგუენი (საფრ)
27 წლის, 112 კგ, 178 სმ
კეპი — 14
ლელო (ქულა) — 1 (5)
მსოფლიოს თასზე — 0

**2** აქვსენტი გიორგაძე



კასტრი (საფრ)
31 წლის, 103 კგ, 179 სმ
კეპი — 47
ლელო (ქულა) — 10 (50)
მსოფლიოს თასზე — 4

**3** დავით ზირაქაშვილი



კლერმონი (საფრ)
23 წლის, 117 კგ, 183 სმ
კეპი — 13
ლელო (ქულა) — 3 (15)
მსოფლიოს თასზე — 0

**4** ილია ზედგინიძე (კაპ.)



ოში (საფრ)
30 წლის, 112 კგ, 195 სმ
კეპი — 46
ლელო (ქულა) — 13 (65)
მსოფლიოს თასზე — 3

**5** მამუკა გორგოძე



მონპელიე (საფრ)
23 წლის, 18 კგ, 196 სმ
კეპი — 23
ლელო (ქულა) — 8 (40)
მსოფლიოს თასზე — 0

**6** გიორგი ჩხაიძე



მასი (საფრ)
26 წლის, 102 კგ, 195 სმ
კეპი — 20
ლელო (ქულა) — 2 (10)
მსოფლიოს თასზე — 3

**7** გია ლაბაძე



ტულონი (საფრ)
24 წლის, 97 კგ, 194 სმ
კეპი — 45
ლელო (ქულა) — 10 (50)
მსოფლიოს თასზე — 2

**8** ბესო უდესიანი



შალონი (საფრ)
29 წლის, 95 კგ, 183 სმ
კეპი — 26
ლელო (ქულა) — 7 (35)
მსოფლიოს თასზე — 0

**9** ირაკლი აბუსერიძე



ორლეანი (საფრ)
29 წლის, 70 კგ, 174 სმ
კეპი — 44
ლელო (ქულა) — 4 (20)
მსოფლიოს თასზე — 3

**10** მერაბ კვირიკაშვილი



პო (საფრ)
23 წლის, 80 კგ, 180 სმ
კეპი — 20
ლელო (ქულა) — 2 (72)
მსოფლიოს თასზე — 4

**11** ბესიკ ხამაშურიძე



კანი (საფრ)
30 წლის, 95 კგ, 195 სმ
კეპი — 49
ლელო (ქულა) — 11 (55)
მსოფლიოს თასზე — 4

**12** ირაკლი გიორგაძე



დაქსი (საფრ)
24 წლის, 100 კგ, 188 სმ
კეპი — 27
ლელო (ქულა) — 2 (16)
მსოფლიოს თასზე — 3

**13** მალხაზ ურჯუკაშვილი



ორიიაკი (საფრ)
26 წლის, 80 კგ, 178 სმ
კეპი — 51
ლელო (ქულა) — 15 (267)
მსოფლიოს თასზე — 3

**14** ირაკლი მაჩხანელი



მონდემარსანი (საფრ)
26 წლის, 90 კგ, 187 სმ
კეპი — 24
ლელო (ქულა) — 9 (45)
მსოფლიოს თასზე —4

**15** პალიკო ჯიმშელაძე



არასი (საფრ)
32 წლის, 88 კგ, 180 სმ
კეპი — 56
ლელო (ქულა) — 9 (320)
მსოფლიოს თასზე — 4

**16** გოდერძი შველიძე



კლერმონი (საფრ)
29 წლის, 106 კგ, 177 სმ
კეპი — 37
ლელო (ქულა) — 7 (35)
მსოფლიოს თასზე — 3

**17** ავთო კოპალიანი



მონტობანი (საფრ)
25 წლის, 113 კგ, 178 სმ
კეპი — 18
ლელო (ქულა) — 2 (10)
მსოფლიოს თასზე — 2

**18** ვიქტორ დიდებულიძე



მასი (საფრ)
36 წლის, 112 კგ, 192 სმ
კეპი — 42
ლელო (ქულა) — 5 (25)
მსოფლიოს თასზე — 3

**19** ზვიად მაისურაძე



ლოკომოტივი
26 წლის, 97 კგ, 185 სმ
კეპი — 18
ლელო (ქულა) — 3 (15)
მსოფლიოს თასზე — 0

**20** ბიძინა სამხარაძე



კონსატანცა (რუმ)
23 წლის, 70 კგ, 170 სმ
კეპი — 25
ლელო (ქულა) — 1 (5)
მსოფლიოს თასზე — 0

**21** რევაზ გიგაური



მონლუსონი (საფრ)
23 წლის, 93 კგ, 185 სმ
კეპი — 10
ლელო (ქულა) — 0
მსოფლიოს თასზე — 0

**22** გიორგი შკინინი



ბლუა (საფრ)
24 წლის, 70 კგ, 170 სმ
კეპი — 19
ლელო (ქულა) — 4 (20)
მსოფლიოს თასზე — 0

## საქართველო

ლიონი. დღეს. 22.00




AFP

# ილია ზედგინიძე: აქ მარტო ნამიბიის დასამარცხებლად არ ჩამოვსულვართ

არგენტინის ნაკრებთან ჯახის წინ საქართველომ გუშინ საღამოს ბოლოს ივარჯიშა, დღეს კი სენსაციის მომხდენის და მთელი საფრანგეთის ზარდამცემი „პუმების" წინააღმდეგ დადგება და „ლელოებისთვისაც" თასი ამით დაიწყება. ნავარჯიშევს საფრანგეთში დავუკავშირდით „ლელოების" კაპიტან ილია ზედგინიძეს

**— ალბათ სულ სხვა განცდაა, როდესაც პირველ მატჩში სენსაციის მომხდენ ნაკრებს ეთამაშებით...**

— საფრანგეთი — არგენტინას ვუყურეთ და მართლა გაკვირვებულები დავრჩით. არგენტინამ ბოლო დროს მაგრად მოუმატა, მაგრამ ასეთი გუნდი თუ დადგებოდა, ნაღდად არ მეგონა. მართლა ძალიან ძლიერი ნაკრებია. ჩვენც ორმაგად მოტივირებულები ვართ — პირველ მატჩს ვთამაშობთ და თანაც რა მეტოქესთან.

**— არგენტინასთან თითქოს შერეული შემადგენლობით უნდა გეთამაშათ...**

— აქ მარტო ნამიბიის მოსაგებად არ ჩამოვსულვართ. ჩვენ მსოფლიოს თავი უნდა დავამახსოვროთ და ყველას ვეომოთ. არ აქვს მნიშვნელობა, ნამიბია იქნება, თუ საფრანგეთი. ვინიცობაა ამ ჯახებში ვინმე დაიმტვრეს, აქ ოცდაათი კაცი ვართ და არ არსებობს მცნება „ძირითადი" ან „სათადარიგო", ყველანი თანასწორები ვართ.

**— და მაინც არგენტინასთან წინასწარ განწირულები ხართ...**

— ალბათ წავაგებთ კიდეც, მაგრამ სისხლს გავუშრობთ, მისხალ მონაკვეთს არ დავუთმობთ.

**ბაჩო სვანიძე**

# ბავშვებს ოცნება, რესტორანს ღვინო

## ლიონმა ქართული დესანტი მიიღო

***მსოფლიოს თასის** ოფიციალურ ვებგვერდზე საქართველოს ნაკრებზე ერთი მოქრო მასალა გამოქვეყნდა. უფრო ზუსტად კი, rugby-worldcup.com-ის კორესპონდენტი ჩვენი „ლელოების" ლიონის გარეუბან ბოჟოლეში ბოლო ხუთი დღის ცხოვრებას მოკლედ ჰყვება*

ბოჟოლეში ბავშვთა სარაგბო სკოლაში საქართველოს ნაკრების გამოჩენას მთელი ორი თვე ელოდნენ. სარაგბო სკოლის ბავშვებმა ივლისში გაიგეს, რომ მათ სკოლაში მსოფლიოს თასის მონაწილე ნაკრები ივარჯიშებდა. ქართველების ჩამოსვლა და ბავშვებთან სტუმრობა ერთი იყო.

„ჩვენი ნაკრების თითქმის ყველა მორაგბე საფრანგეთში თამაშობს. ამასთან ერთად ერთთვიანი შეკრება გვქონდა სხვადასხვა ქალაქებში, თუმც რეალურად დღეს შევიგრძენით, რომ მსოფლიოს თასზე ვთამაშობთ. დიდი მადლობა ალალი დახვედრისთვის" — ეს „ლელოების" კაპიტანმა ილია ზედგინიძემ უთხრა ბავშვებს.

ალან ჟენევე, ბოჟოლეს სკოლის ადმინისტრატორი: „ბავშვები სიხარულისგან ხტოდნენ. ისინი საქართველოს ფან-კლუბში გაერთიანდნენ და არგენტინასთან მატჩში ტრიბუნებიდან უქომაგებენ ქართველებს. ოღონდ ერთი პრობლემაა, სტუმართა სახელი და გვარები ძნელად წარმოსათქმელია და ბავშვებმა ვერაფრით ვერ დაიმახსოვრეს."

საქართველოს ნაკრები ბოჟოლეში მე-19 საუკუნეში აშენებულ სასახლეში დაბინავდა, რომელიც ახლა სასტუმროდ და სპორტულ კომპლექსად გადაკეთდა. „ლელოები" სასტუმროში საჩუქრებით მივიდნენ, მათ თითო ბოთლი ნამდვილი ქართული ღვინო აჩუქეს სასტუმროს რესტორანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IRB RUGBY WORLD CUP 2007 FRANCE

# RUGBY WORLD CUP 2007

საფრანგეთი. 7 სექტემბერი — 20 ოქტომბერი

VEGA SLOT POKER CLUB

საქართველოს ნაკრების თამაშებს წარმოგიდგენთ VEGA SLOT

UAR

## არგენტინა

ლიონი. დღეს. 22.00

AFP



# არგენტინა საქართველოსთან ამჩატდა

**არგენტინის** ნაკრების მწვრთნელი მარსელო ლოფრედა საფრანგეთთან ნათამაში შემადგენლობიდან საქართველოსთან ერთბაშად შვიდ რაზმელს დაასვენებს, ორს სანტიაგო ბონორინოს და მარტინ დურანდს კი სამარქაფოდან ძირითად შემადგენლობაში დააწინაურებს.

ლოფრედამ განსაკუთრებით შერკინების ხაზი გადაახალისა. რაკი ფრანგების დამჭრჭქვავ მორკინალებს ზოგს ტრავმა აქვს, ზოგიც იარებს იშუშებს. უკანა ხაზში კი მხოლოდ სამი ცვლილებაა: მცველი ფედერიკო მირასი სათადარიგოებში იქნება, ფედერიკო არამბურუ და გონსალო ტიესი კი თავიდანვე შეუტევენ ჩვენებს. ესენი საფრანგეთთან განაცხადშიც ვერ მოხვდნენ და ლოფრედა ახლა აძლევს მათ განავარდების შანსს.

ერთი საგულისხმო დეტალი: არგენტინული შერკინების 8-ეული ჯამში 861 კილოგრამს იწონის მაშინ, როცა ქართველთა მორკინალების საერთო მასა 870 კილოგრამია. გამოდის, რომ საშუალოდ თითოეული ჩვენი მორკინალი არგენტინელზე ერთი კილოგრამით მძიმეა.

მარსელო ლოფრედამ მატჩისწინა პრესკონფერენცია გამართა და საფრანგეთთან მძიმე და ჩახურული ბურთაობის შემდეგ საქართველოსთან ქომაგებს ლამაზ სანახაობას დაჰპირდა.

„საქართველოს შერეულ შემადგენლობას გავუყვან, თუმც ეს არ ნიშნავს, რომ მეტოქეს არ ვაფასებთ. პირიქით, ქართველებს ჩვენსავით შერკინებით უყვართ თამაში და ამაში მართლაც ძლიერები არიან. ცვლილებები ტრავმებმაც გამოიწვია და რამდენიმე მოთამაშეს დასვენების საშუალება მივეცი. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს ამ შემადგენლობითაც მოვუგებთ, თან პრემიალურ ქულასაც ავიღებთ" — საკუთარ გუნდში და ნათქვამში დარწმუნებული ჩანს ლოფრედა.

არგენტინელთა კაპიტანმა აგუსტინ პიშომ კი სიფრთხილე გამოიჩინა: „ქართველ მორაგბეებს კარგად ვიცნობთ. ზოგიერთი ჩვენიანი მათი თანაკლუბელია, უმეტესობას კი საფრანგეთის ჩემპიონატში ერთმანეთის წინააღმდეგ გვითამაშია. ვფიქრობ, რომ მეტოქე ძლიერია და უშეღავათო ბრძოლა იქნება."

**ბაჩო სვანიძე**



აგუსტინ პიშო

AFP



**1 მარკოს აიერსა**
ლესტერი (ინგლ)
24 წლის, 112 კგ, 186 სმ
კეპი — 13
ლელო (ქულა) — 1 (5)
მსოფლიოს თასზე — 0



**5 პატრიციო ალბასეტე**
ტულუზი (საფრ)
26 წლის, 115 კგ, 200 სმ
კეპი — 20
ლელო (ქულა) — 0
მსოფლიოს თასზე — 3



**2 მარიო ლედესმა**
კლერმონი (საფრ)
34 წლის, 106 კგ, 183 სმ
კეპი — 61
ლელო (ქულა) — 3 (15)
მსოფლიოს თასზე — 9



**6 მარტინ დურანდი**
უგუნდოდ
31 წლის, 96 კგ, 182 სმ
კეპი — 50
ლელო (ქულა) — 9 (45)
მსოფლიოს თასზე — 4



**3 სანტიაგო ბონორინო**
კაპიტოლინა (იტ)
32 წლის, 116 კგ, 190 სმ
კეპი — 12
ლელო (ქულა) — 0
მსოფლიოს თასზე —1



**7 ხუან ფერნანდეს ლობე**
სეილ-შარქსი (ინგ)
25 წლის, 105 კგ, 191 სმ
კეპი — 16
ლელო (ქულა) — 3 (15)
მსოფლიოს თასზე — 1



**4 რიმას ალვარესი**
პერპინიანი (საფრ)
33 წლის, 106 კგ, 197 სმ
კეპი — 33
ლელო (ქულა) — 3 (15)
მსოფლიოს თასზე — 3



**8 ხუან ლეგიუიზამონი**
აირიში (ინგ)
24 წლის, 105 კგ, 190 სმ
კეპი — 18
ლელო (ქულა) — 2 (10)
მსოფლიოს თასზე — 1



**16 ალბერტო ბასუალდო**
ალუმნი
25 წლის, 109 კგ, 180 სმ
კეპი — 4
ლელო (ქულა) — 0
მსოფლიოს თასზე — 0



**9 აგუსტინ პიშო (კაპ.)**
სტად-ფრანსე (საფრ)
33 წლის, 78 კგ, 175 სმ
კეპი — 66
ლელო (ქულა) — 12 (60)
მსოფლიოს თასზე — 9



**17 ომარ ჰასანი**
ტულუზი (საფრ)
36 წლის, 115 კგ, 183 სმ
კეპი — 58
ლელო (ქულა) — 3 (15)
მსოფლიოს თასზე — 6



**10 ხუან ერნანდესი**
სტად-ფრანსე (საფრ)
25 წლის, 90 კგ, 187 სმ
კეპი — 22
ლელო (ქულა) — 6 (34)
მსოფლიოს თასზე — 4



**18 ესტებან ლოსადა**
კლერმონი (საფრ)
25 წლის, 106 კგ, 194 სმ
კეპი — 4
ლელო (ქულა) — 0
მსოფლიოს თასზე — 0



**11 ფედერიკო არამბურუ**
პერპინიანი (საფრ)
27 წლის, 87 კგ, 182 სმ
კეპი — 11
ლელო (ქულა) — 6 (30)
მსოფლიოს თასზე — 0



**19 მარტინ შუსტერმანი**
ლიდსი (ინგ)
32 წლის, 101 კგ, 189 სმ
კეპი — 16
ლელო (ქულა) — 1 (5)
მსოფლიოს თასზე — 0



**12 ფელიპე კონტეპომი**
ლენსტერი (ირლ)
30 წლის,91 კგ, 180 სმ
კეპი — 53
ლელო (ქულა) — 8 (368)
მსოფლიოს თასზე — 7



**20 ნიკოლას ფერნანდეს მირანდა**
ინდუ
35 წლის, 90 კგ, 179 სმ
კეპი — 42
ლელო (ქულა) — 6 (30)
მსოფლიოს თასზე — 3



**13 გონსალო ტიესი**
აირიში (ინგ)
22 წლის, 92კგ, 184 სმ
კეპი — 10
ლელო (ქულა) — 3 (15)
მსოფლიოს თასზე — 0



**21 ფედერიკო ტოდესკინი**
მონპელიე (საფრ)
32 წლის, 85 კგ, 185 სმ
კეპი — 16
ლელო (ქულა) — 3 (232)
მსოფლიოს თასზე — 0



**14 ლუკას ბორხესი**
სტად-ფრანსე (საფრ)
27 წლის, 80 კგ, 177 სმ
კეპი — 20
ლელო (ქულა) — 10 (50)
მსოფლიოს თასზე — 1



**22 ფედერიკო მირასი**
სიკი
27 წლის, 83 კგ, 188 სმ.
კეპი — 8
ლელო (ქულა) — 2 (26)
მსოფლიოს თასზე — 0



**15 იგნასიო კორლეტო**
სტად-ფრანსე (საფრ)
29 წლის, 90 კგ, 185 სმ
კეპი — 31
ლელო (ქულა) — 12 (63)
მსოფლიოს თასზე — 6

US OPEN 2007

# ამერიკის ღია პირველობა 2007 ჰარდი. საპრიზო 20 000 000 $



# სამყარო მის ფეხქვეშ

**როჯერ ფედერერმა** მეათსედ დაამტკიცა, რომ ის ჩოგბურთის მართლაც ცოცხალი ლეგენდაა. გენიალურმა შვეიცარიელმა აგერ უკვე მერამდენედ ჩაწერა თავისი სახელი ჩოგბურთის ისტორიაში და ახალ-ახალი რეკორდები თუ მიღწევები შემატა თავის აქტივს.

ფინალში ფედერერმა ნოვაკ ჯოკოვიჩს მოუგო მიუხედავად ახალგაზრდა სერბის თავგამოდებული წინააღმდეგობისა და ამით ერთი თვის წინ მონრეალის მასტერსის ფინალში მარცხისთვის შურიც იძია. თან როგორ — ბალკანელს თითქმის ისევე აჯობა, როგორაც მასთან კანადაში წააგო. საუბარი ტაიბრეიკებზე გვაქვს — მონრეალში ხომ ჯოკოვიჩმა სწორედ ამ საჩოგბურთო ლატარიაში იხეირა და ორივე სეტი ამ დამატებით გეიმში მოიგო.

ჰოდა, ფედერერმაც პირველი ორი სეტი სწორედაც რომ ტაიბრეიკზე მოუგო ჯოკოვიჩს. ამიტომაც ამბობდა ნამატჩევს „მხაირული როჯერი", საოცარი დე ჟავუ იყოო — „რაღაც უცნაურად განმეორდა ყველაფერი. თითქმის ისევე იყო, როგორც მონრეალში. მართლა დე ჟავუ იყო, იმ განსხვავებით, რომ ამჯერად ტაიბრეიკები მე მოვიგე."

არადა, ჯოკოვიჩს ორივე სეტში თავისუფლად შეეძლო, საქმე ტაიბრეიკამდე არ მიეყვანა. განსაკუთრებით პირველ პარტიაში, როცა 6:5-ზე აწოდებდა და 40:0 მიჰყავდა. მაგრამ ახლა ფედერერის წინასწარმეტყველება — შვეიცარიელმა მატჩის წინ თქვა, ეს ნოვაკის პირველი სასლემტურნირო ფინალია და წესით, უნდა ინერვიულოსო. ასეც მოხდა, სერბმა სამივე სეტპოინტი გაანიავა და მერე სეტის მოგების კიდევ ორი შესაძლებლობაც გაუშვა ხელიდან. თითქმის იგივე განმეორდა მეორე პარტიაში, ოღონდ 6:5-ზე ბალკანელს უკვე ფედერერის მოწოდებაზე ჰქონდა სეტის მოგების შანსი, მაგრამ ვერც ის გამოიყენა. ამიტომაც ამბობდა ნამატჩევს ჯოკოვიჩი — „ეს შვიდი სეტპოინტი სიზმარში კიდევ დიდხანს მექცევა კოშმარად."

მესამე სეტში კი ფედერერმა საჩოთიროდ აღარ გაიხადა საქმე, ბრეიკი მალევე გააკეთა და ეს უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა.

როჯერ ფედერერისთვის ეს მე-12 სასლემო ტიტული გახლავთ. ამ მაჩვენებლით ყველა დროის ჩოგბურთელთა სიაში ის მეორე ადგილს იყოფს როი ემერსონთან ერთად და მხოლოდ პიტ სამპრასს ჩამორჩება, რომლის ანგარიშზეც 14 სლემტურნირია. ალპელი მხოლოდ 26 წლისაა და იმ ტემპით მიდის, რომ ამერიკელს უკვე მომავალ წელსვე თუ არ გადაუსწრებს, დაეწევა მაინც.

გარდა ამისა, ღია პირველობათა ერაში (ანუ 1968 წლიდან) ფედერერი პირველ ჩოგბურთელია, რომელმაც „ფლეშინ მედოუზზე" ზედიზედ ოთხჯერ იჩემპიონა. აშშ-ს ღია პირველობათა ისტორიაში ასეთი რამ მხოლოდ და მხოლოდ ბილ ტილდენს გაუკეთებია 1920-იანი წლების დასაწყისში. ფედერერი მეორე ჩოგბურთელია, ვინც ზედიზედ ოთხ-ოთხჯერ მოიგო ორი სლემტურნირი (უიმბლდონი და აშშ-ს ღია პირველობა) და ამით ბიორნ ბორგის კიდევ ერთი შთამბეჭდავი მიღწევა გაიმეორა, რომელმაც იგივე „როლან გაროსსა" და უიმბლდონზე შეძლო.

სლემტურნირებზე ფედერერის მოგება-წაგებათა მაჩვენებელი უბრალოდ ფანტასტიკურია — 138 მოგება 22 მარცხის წილ.

**ქახა ლომჯარიძე**

## როჯერ ფედერერი

დაიბადა 1981 წლის 8 აგვისტოს ბაზელში (შვეიცარია), შვეიცარიის მოქალაქე. ცხოვრობს ობერვილში (შვეიცარია). სიმაღლე 185 სმ. წონა 81 კგ. პროფესიონალია 1998 წლიდან. კარიერის მანძილზე მოპოვებული აქვს ერთეულთა 51 (მათ შორის 12 დიდი სლემის: უიმბლდონი — 2003-07. ავსტრალიის ღია პირველობა — 2004, 2006-07. აშშ-ის ღია პირველობა— 2004-07), წყვილთა 7 ტიტული. ჩატარებული 666 მატჩიდან 535 მოიგო და 131 წააგო. ATP-ს რეიტინგის პირველი ნომერია 2004 წლის 2 თებერვლიდან. საპრიზოების სახით გამოიმუშავა 35 640 078 დოლარი.

### ფედერერი 2007 წლის USA Open-ზე

| | |
|---|---|
| პირველი წრე | ფედერერი —სკოვილ ჯენკინსი (აშშ) 6:3 6:2 6:4 |
| მეორე წრე | ფედერერი — პოლ კაპდევილა (ჩილე) 6:1 6:4 6:4 |
| მესამე წრე | ფედერერი — ჯონ აისნერი (აშშ) 6:7 6:2 6:4 6:2 |
| მეოთხე წრე | ფედერერი — ფელიჩიანო ლოპესი (ესპ.) 3:6 6:4 6:1 6:4 |
| მეოთხედფინალი | ფედერერი — ენდი როდიკი (5, აშშ) 7:6 7:6 6:2 |
| ნახევარფინალი | ფედერერი — დავიდენკო (4, რუსეთი) 7:5 6:1 7:5 |
| ფინალი | ფედერერი — ნოვაკ ჯოკოვიჩი (3, სერბეთი) 7:6 7:6 6:4 |

## კაცები

### განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 7605 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 5385 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 4295 |
| 4. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 3255 |
| 5. ენდი როდიკი (აშშ) | 2540 |
| 6. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2290 |
| 7. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 2185 |
| 8. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 1940 |
| 9. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი | 1925 |
| 10. ტომი ჰაასი (გერმანია) | 1880 |
| 11. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 1875 |
| 12. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 1850 |
| 13. გილერმო კანასი (არგენტინა) | 1653 |
| 14. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 1625 |
| 15. კარლოს მოია (ესპანეთი) | 1620 |
| 16-17. ხუან-იგნასიო ჩელა (არგენტინა) | 1465 |
| 16-17. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 1465 |
| 18. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 1410 |
| 19. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 1345 |
| 20. ხუან მონაკო (არგენტინა) | 1320 |

### საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 1171 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 1012 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 802 |
| 4. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 485 |
| 5. ენდი როდიკი (აშშ) | 466 |
| 6. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 382 |
| 7. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 321 |
| 8. ტომი ჰაასი (გერმანია) | 316 |
| 9. კარლოს მოია (ესპანეთი) | 315 |
| 10. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 303 |
| 11. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 296 |
| 12. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 292 |
| 13. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 290 |
| 14. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 281 |
| 15. ხუან-იგნასიო ჩელა (არგენტინა) | 279 |
| 16. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 266 |
| 17. გილერმო კანასი (არგენტინა) | 265 |
| 18. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 258 |
| 19. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 256 |
| 20. ხუან მონაკო (არგენტინა) | 251 |

### ფულადი მონაგარი

| | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 4 663 620 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 4 269 435 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 2 537 150 |
| 4. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 1 109 475 |
| 5. ენდი როდიკი (აშშ) | 1 043 870 |
| 6. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 1 018 730 |
| 7. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 918 070 |
| 8. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 862 125 |
| 9. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 821 145 |
| 10. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 791 940 |
| 11. გილერმო კანასი (არგენტინა) | 764 665 |
| 12. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 756 647 |
| 13. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 743 985 |
| 14. ტომი ჰაასი (გერმანია) | 737 150 |
| 15. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 733 452 |
| 16. ხუან-იგნასიო ჩელა (არგენტინა) | 721 515 |
| 17. მაიკ ბრაიანი (აშშ) | 712 185 |
| 18. ბობ ბრაიანი (აშშ) | 708 360 |
| 19. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 681 155 |
| 20. კარლოს მოია (ესპანეთი) | 676 880 |

## ქალები

### განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 5200 |
| 2. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 3780 |
| 3. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 3365 |
| 4. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 3235 |
| 5. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 2940 |
| 6. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 2925 |
| 7. სერენა უილიამსი (აშშ) | 2391 |
| 8. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 2266 |
| 9. ვინუს უილიამსი (აშშ) | 2215 |
| 10. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 2067 |
| 11. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 2062 |
| 12. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 1932 |
| 13. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1768 |
| 14. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1736 |
| 15. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1686 |
| 16. შაჰარ პირი (ისრაელი) | 1678 |
| 17. დინარა საფინა (რუსეთი) | 1674 |
| 18. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 1673 |
| 19. ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 1414 |
| 20. სიბილ ბამერი (ავსტრია) | 1298 |

### საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 4675 |
| 2. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 3725 |
| 3. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 3246 |
| 4. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 2847 |
| 5. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 2556 |
| 6. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 2430 |
| 7. სერენა უილიამსი (აშშ) | 2391 |
| 8. ვინუს უილიამსი (აშშ) | 2190 |
| 9. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 1802 |
| 10. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1788 |
| 11. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 1686 |
| 12. დინარა საფინა (რუსეთი) | 1667 |
| 13. შაჰარ პირი (ისრაელი) | 1588 |
| 14. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1535 |
| 15. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1511 |
| 16. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1447 |
| 17. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 1406 |
| 18. სიბილ ბამერი (ავსტრია) | 1370 |
| 19. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 1337 |
| 20. ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 1218 |

### ფულადი მონაგარი

| | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 4 092 676 |
| 2. სერენა უილიამსი (აშშ) | 1 946 491 |
| 3. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 1 855 242 |
| 4. ვინუს უილიამსი (აშშ) | 1 800 437 |
| 5. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 1 595 067 |
| 6. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 1 549 349 |
| 7. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 1 243 420 |
| 8. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 1 100 176 |
| 9. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 1 037 645 |
| 10. დინარა საფინა (რუსეთი) | 974 661 |
| 11. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 862 039 |
| 12. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 768 503 |
| 13. შაჰარ პირი (ისრაელი) | 756 883 |
| 14. მარა სანტანჯელო (იტალია) | 679 450 |
| 15. ნატალი დეში (საფრანგეთი) | 676 760 |
| 16. კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) | 662 348 |
| 17. ლიზელ ჰუბერი (აშშ) | 636 457 |
| 18. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 634 502 |
| 19. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 630 353 |
| 20. კარა ბლეკი (ზიმბაბვე) | 626 765 |

# სარეიტინგო ადი-ჩადი

**ბაქოში** კვირას გასრულებულმა ტურნირმა ქართველ ჩოგბურთელ გოგონებს რეიტინგში წინ წაწევის საშუალება მისცა. განსაკუთრებით სოფო შაფათავა დაწინაურდა. მართალია, იგი აზერბაიჯანში მეოთხედფინალს ვერ გასცდა, მაგრამ რეიტინგში 92 საფეხურით აინაცვლა.

ცოტა გასაკვირია, მაგრამ უფრო ნაკლებით დაწინაურდნენ ეს ქართველები, რომლებიც ბაქოში მეტი წარმატებით გამოვიდნენ — ნახევარფინალისტმა სოფო ქვაცაბაიამ „მხოლოდ" რვა, გამარჯვებულმა თინა ყავლაშვილმა კი სულაც ორი საფეხურით აინაცვლეს.

ATP-ის კვალიფიკაციაში კი ისევ ხუთი ქართველი რჩება. თუმც, სამწუხაროდ, გასული კვირა მათთვის არცთუ იღბლიანი აღმოჩნდა — ლადო ჩიხლაძემ 3 პოზიცია დაკარგა, ირაკლი ლაბაძემ კი — 6.

**კაცები**

| | | |
|---|---|---|
| 388 (-3) | ლადო ჩიხლაძე | 84 ქულა |
| 830 (-6) | ირაკლი ლაბაძე | 14 |
| 1329 (+2) | ირაკლი ითონიშვილი | 1 |
| 1497 (+9) | გიორგი ხრიკაძე | 1 |
| 1497 (+9) | გიორგი ჭანტურია | 1 |

**ქალები**

| | | |
|---|---|---|
| 146 (+12) | მაკა ჩახნაშვილი | 227,50 ქულა |
| 280 (+6) | ანა ტატიშვილი | 87,28 |
| 487 (+92) | სოფო შაფათავა | 34 |
| 561 (-1) | სალომე დევიძე | 26,50 |
| 665 (+38) | მანანა შაფაქიძე | 17 |
| 684 (-2) | სოფო მელიქიშვილი | 16 |
| 754 (+8) | ოქსანა კალაშნიკოვა | 12,50 |
| 771 (+3) | ეკა გორგოძე | 12 |
| 934 (+8) | სოფო ქვაცაბაია | 7 |
| 1030 (+2) | თინა ყავლაშვილი | 5 |
| 1053 (-1) | სალომე ჩაჩხუნაშვილი | 4,75 |
| 1207 (+1) | მარიამ ქურდაძე | 2,75 |

# კალაშნიკოვას ცოტა დააკლდა



**მშვენივრად** ითამაშა აშშ-ს ღია პირველობის იუნიორთა ტურნირზე ოქსანა კალაშნიკოვამ, რომელსაც სული ცოტა დააკლდა საბოლოო წარმატებამდე. ჩვენებური ერთეულთა და წყვილთა თანრიგებშიც წარმატებით იბრძოდა და ორივეგან შეეძლო ტიტულის მოპოვება, მაგრამ, სამწუხაროდ, სულ ცოტა დააკლდა.

უკვე ვიუწყებოდით, რომ ერთეულთა შორის ოქსანა მეოთხედფინალამდე იყო მისული. აქ კალაშნიკოვამ კიდევ ერთხელ იჩაუქა და ახალზელანდიელ საშა ჯონსს სძლია. თუმც ქართველი ამის მეტს ვერას გახდა, რადგანაც ნახევარფინალში სლოვაკ კრისტინა კუცოვასთან ვერაფერი გააწყო და 7:5 6:1 დამარცხდა. ამ კუცოვამ შემდეგ ფინალშიც იმარჯვა და თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ მანამდე იუნიორ გოგონათა შორის ნომერ პირველ ჩოგან ანასტასია პავლუჩენკოვას მოუგო, სლოვაკის ძალას თავად მიხვდებით.

წყვილებში კი რუს ქსენია ლუკინასთან ერთად გამოდიოდა და აქ საერთოდ ფინალმდეც იარა, მაგრამ ბოლო და ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი ვეღარ გადადგა — კალაშნიკოვა-ლუკინას პოლონელ ურსულა რადვანსკასა და ბელარუს ქსენია მილევსკაიას დუეტმა შანსი არ დაუტოვა და მხოლოდ სამი გეიმი დაუთმო, 6:1 6:2.

# ქართული ამბები ბაქოდან

**აზერბაიჯანის** დედაქალაქში გუშინწინ გასრულებულ ტურნირზე დიდი შანსი იყო, ქართული ფინალი შემდგარიყო — აფშერონის ნახევარკუნძულზე ხომ ჩვენებურები 9 მეჩოგნით იყვნენ წარდგენილნი.

ქართველებმა ტურნირის პირველი ნახევარი კარგად გაიარეს და მეოთხედფინალშიც ორი წმინდად ქართული წყვილი შედგა, რაც ნახევარფინალში მინიმუმ ორი ჩვენებურის გასვლის გარანტია იყო.

ერთი ნახევარფინალი მართლაც ქართული გამოდგა — თინა ყავლაშვილი (რომელმაც წინა ეტაპზე პირველ ნომრად განთესილი სოფო შაფათავას მოუგო) ფინალის საგზურს სოფო ქვაცაბაიას ეცილებოდა. შეხვედრა დაძაბული გამოდგა, რომელშიც გამარჯვება საბოლოოდ ყავლაშვილს დარჩა. მეორე ნახევარფინალში კი თათია მიქაძემ ვერ შეძლო ქართული ფინალის მოწყობა, რადგანაც წინააღმდეგობა ვერ გაუწია უკრაინელ ლესია ცურენკოს და პირწმინდად დამარცხდა — 6:1 6:0.

თუმც მიქაძის მარცხისთვის ყავლაშვილმა დამაჯერებელი რევანში აიღო და უკრაინელს საკმაოდ იოლად მოუგო — 6:3 6:4, რითაც ბაქოს ტურნირის გამარჯვებულიც შეიქნა.

**კახა ლომსაძე**

# ბორჯომის თასი

## თბილისი. 10-16 სექტემბერი. საპრიზო 10 000 $

**პირველი წრე**

სოფო შაფათავა (2, საქართველო) — მაგდა ოქრუაშვილი (საქართველო) 7:6(6) 6:2
ეკატერინე გორგოძე (7, საქართველო) — ქსენია ლოპინა (უკრაინა) 6:0 6:4
თათია მიქაძე (საქართველო) — დარია შილინა (უკრაინა) 6:1 6:1
სალომე ჩაჩხუნაშვილი (საქართველო) — ნინო მებუკე (საქართველო) 6:1 6:2
ელიზავეტა ტოჩილოვსკაია (1, რუსეთი) — ალენა ნოგოლოვა (ჩეხეთი) 6:4 6:2
აუგუსტა ციბიშევა (3, რუსეთი) — ანა მოვსისიანი (სომხეთი) 6:2 6:2
ელინა ჰასანოვა (4, აზერბაიჯანი) — ირინა კოტკინა (უკრაინა) 6:4 6:3
იმა ბოჰუში (ბელარუსი) — ვიქტორია ემილიანოვა (ბელარუსი) 6:2 5:7 7:6 (4)

# თბილისი — თელავი — ბათუმი

## ქართული სექტემბერი ბორჯომით გაიხსნა



თათია მიქაძე

**სექტემბრის** ბოლომდე საქართველო ქალ ჩოგბურთელთა სამ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს. პირველი გუშინ ლეილა მესხის აკადემიის კორტებზე დაიწყო. ტრადიციულ ბორჯომის თასს, რომლის საპრიზო ფონდიც ათი ათასი დოლარია, შემდეგ კვირაში თელავის ოცდახუთიათასიანი ტურნირი მოჰყვება, ბოლოს კი ამდენივე საპრიზოიანი ბათუმში ჩათამაშდება.

თბილისში ჩამოსულ ჩოგბურთელთა უმრავლესობამ გასულ კვირას ბაქოს კორტებზე ღვარა ოფლი. კავკასიური სექტემბერი სწორედ აზერბაიჯანში გაიხსნა ათიათასიანი ტურნირით და იგი თინათინ ყავლაშვილის ჩემპიონობით დაგვირგვინდა. სხვა ჩვენებურებმა მშვენივრადაც ითამაშეს. მეოთხედფინალში ხუთმა ქართველმა გააღწია, ნახევარფინალში — სამმა.

ყავლაშვილი, რომელიც ბოლო წლებში ტრავმებმა გვარიანად გაწამა, მსოფლიოს რეიტინგსიაში 1032-ე პოზიციაზეა. ეს ბორჯომის თასზე პირდაპირ ძირითად ბადეში მოსახვედრად კი ეყო, მაგრამ პირველსავე წრეში გვარიანი ბრძოლა ელის სამასი პოზიციით წინ მდგომ ბელარუს ალექსანდრა მალიარჩიკოვასთან.

საკვალიფიკაციო თამაშები შაბათ-კვირას გაიმართა და მათში ცხრა ქართველი ჩაერთო, თუმცა ეტაპი მხოლოდ ერთმა, მაგდა ოქრუაშვილმა გაიარა. ძირითადში ლია ცანავამაც შეაღწია, ოღონდ იგი რუსეთის სახელით გამოდის. აქვე ვთქვათ, რომ ტურნირის ოცდათორმეტი მთავარი მონაწილედან თორმეტი მასპინძელია. ამათგან ყველაზე მაღალრეიტინგიანი სოფო შაფათავაა (579), რომელიც მეორე ნომრადაა განთესილი. სოფომ პირველი წრის შეხვედრა გუშინ ჩაატარა და კვალიფიკაციაგავლილ ოქრუაშვილს ორ სეტში აჯობა — 7:6 6:2.

გაცილებით იოლად იმარჯვა თათია მიქაძემ — რუს დარია შილინას მთელ თამაშში ორად ორი გეიმი დაუთმო.

„ორწლინახევრიანი ტრავმიანობის, შემდეგ ახლახან დავბრუნდი კორტზე — გვითხრა ნამატჩევს თათიამ — პირველი ტურნირი ბაქოში ვითამაშე და ნახევარფინალში გავედი, აქაც კარგად დავიწყე, რაც ძალიან მახარებს."

სალომე ჩაჩხუნაშვილმა ნინო მებუკეს სძლია იოლად და მეორე წრეში შაფათავას პირისპირ დადგება. ამათ შორის გამარჯვებულს კი ალბათ მეშვიდე ნომრად განთესილ ეკატერინე გორგოძესთან მოუწევს თამაში. ამან გუშინ უკრაინელ ქსენია ლოპინას დასწყვიტა გული. პირველი სეტი ჩვენებურმა მშრალად მოიგო. მეორეში ქსენიამ ერთხანს კი გაიბრძოლა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. გიორგაძის მორიგი მეტოქე ბელარუსი იმა ბოჰუში იქნება, რომელმაც გუშინ თანამემამულე ვიქტორია ემილიანოვასთან სამსეტიანი ბრძოლა გადაიტანა.

გუშინვე მოიგერეს ჩოგნები ბორჯომის თასის პირველ, მესამე და მეოთხე ნომრად განთესილებმა. რუსებმა ელიზავეტა ტოჩილოვსკაიამ და აუგუსტა ციბიშევამ და აზერბაიჯანელმა ელინა ჰასანოვამ. მეორე წრის საგზურები ნერვიულობის გარეშე მოიპოვეს. დღეს პირველი წრის დარჩენილი რვა შეხვედრა ჩატარდება.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# თასები მორჩა, ახლა პრეზიდენტს მივხედოთ

**როგორც** მოსალოდნელი იყო, საქართველოს ხელბურთის გუნდებისთვის მორიგი საევროპო გასვლა ორ დღეში დაიწყო და დასრულდა კიდეც.

2007-08 წლების სეზონში კონტინენტზე წარმოჩენა, კერძოდ, ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასზე, ჩვენმა ორმა კლუბმა ისურვა — ჩემპიონმა „შევარდენი-თელავმა" და ვერცხლის პრიზიორმა „თბილისმა". ბუნებრივია, ორივე თავიდანვე მარცხისთვის განწირული იყო, რადგან ცოტაფულობის, თანაც მტრის ძლევის უუნარობის მიზეზით სამასპინძლო თამაშიც მეტოქის მოედანზე ჩაატარეს. ჰოდა, გასაგებია, როგორც იტყვიან, რა ჩიტსაც დაიჭერდნენ.

**შევარდენი-თელავი 18:30; 22:23 ვილნიუსი (ლიტვა)**

**თბილისი 25:33; 14:34 პოვაჟსკა ბისტრიცა (სლოვაკეთი)**

საქართველოს ხელბურთის ეროვნული ასოციაციას ხელმძღვანელობას ცხელი დღეები უდგას. ხვალ ასოციაციის რიგგარეშე ყრილობაზე ახალ პრეზიდენტს აირჩევენ. თვის ბოლოს მე-18 ეროვნული ჩემპიონატის დაწყებაა დაგეგმილი, ხოლო 25-27 ოქტომბერს თბილისი ფრიად პრესტიჟულ „ჩელენჯ ტროფის" ჯგუფურ ტურნირს უმასპინძლებს.

ვიმედოვნებთ, საქართველოს ხელბურთის მმართველი ორგანო, რთულ საორგანიზაციო საკითხებს სათანადოდ მოუვლის.

**გია ახალაძე**

# მრთის ძმზნისას ნაპოვნი მქვსი დაკარგული

**რაც დრო** გადის, მით მეტად მატულობს ნევადის ცაში დაკარგული სტივ ფოსეტის მაძებართა რაოდენობა. ამ მასშტაბურ საქმეში უკვე 45 სხვადასხვა ტიპის საფრენი აპარატი მონაწილეობს, რომლებიც 25,9 ათას კვადრატულ კილომეტრს იკვლევენ.

„რა თქმა უნდა, არ შეიძლება გამოირიცხოს, რომ სტივ ფოსეტს ველარასოდეს იპოვიან — ამბობს ნევადის პოლიციის ერთ-ერთი წარმომადგენელი ჯო სენფორდი — მაგრამ მინდა, მჯეროდეს, რომ ჩვენი თანამედროვე ტექნოლოგიების წყალობით ფოსეტის პოვნის შანსი გაცილებით მეტია."

მართლაც, ფოსეტის ძებნაში ამ ტექნოლოგიების წყალობით გამოსაკვლევი ტერიტორიის უდაბნოებში, ხეობებსა და მთებში სხვადასხვა წლებში დაკარგული ექვსი თვითმფრინავის ნამსხვრევები იპოვეს. როცა ამის თაობაზე ტელევიზიებმა და სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებმა გადასცეს, მაშველებს წინათ დაკარგულთა ახლობლებმა მიმართეს. ბევრ მათგანს რამდენიმე ათეული წლის წინ, ავიაკატასტროფაში დაღუპული ნათესავის პოვნის იმედი გაუჩნდა.

**ავთანდილ ტყვიზელი**

# ევროპის ჩემპიონატი

**ესპანეთი. 3-16 სექტემბერი. მეორე ჯგუფური ეტაპი**

# პორტუგალიამ ევროპა დააჯერა

## რუსეთი ესპანეთთან შეჩერდა

**E ჯგუფი**

**საბერძნეთი 81:78 ხორვატია**
*20:19 13:21 25:14 23:24*
საბერძნეთი: დიამანტიდისი (23), პაპადოპულოსი (22), სპანულისი (14)
ხორვატია: კაშუნი (15), პოპოვიჩი (11) ტომასი (11)

**პორტუგალია 94:85 ისრაელი**
28:14 18:20 19:14 29:37
პორტუგალია: გომეში (23), ჟორდაუ (20)
ისრაელი: ელიაჰი (29), ჰალპერინი (19)

**ესპანეთი 81:69 რუსეთი**
20:23 20:12 23:16 18:18
ესპანეთი: კალდერონი (17), ნავარო (15), გასოლი (13)
რუსეთი: კირილენკო (21), ხრიაპა (14 ქულა, 11 მოხსნა)

როცა პორტუგალიამ ევროპის ჩემპიონატის საგზური მოიპოვა, ეს მაშინვე სენსაციად მოინათლა და ახლა, როცა ამ გუნდმა უკვე მეოთხედფინალს მიუკაკუნა, საკალათბურთო წრეებში იმდენად დიდი აურზარი არ იგრძნობა. პორტუგალიელებმა დაამტკიცეს, რომ არ არიან ბეჩავნი — გამართული თამაშისა და უდიდესი მონდომების ხარჯზე მათ საყოველთაო პატივისცემა და პრესტიჟი დაიმსახურეს. მეორე ჯგუფური ეტაპის ბოლოსწინა ტურში ლუზიტანიელებმა ისრაელი დაამარცხეს და თუკი დღეს ბერძნებსაც მოუგებენ, მეოთხედფინალში გავლენ.

„როცა ჩვენ ევროჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ვთამაშობდით, არავის ეგონა, რომ ფინალურ ეტაპზე გავიდოდით და როცა ეს შევძელით, ყველა ამბობდა, პორტუგალია ერთ თამაშსაც ვერ მოიგებსო — თქვა პირინეელთა ფორვარდმა ფილიპე და სილვამ — ჩვენ უკვე ორი მატჩი მოვიგეთ და კარგი შანსიც გვაქვს, მეოთხედფინალში გავედით. მე ვამაყობ ამ წარმატებით, ევროპას უკვე დავანახეთ ჩვენი ძალა."

სხვათა შორის, პორტუგალიელებს ერთი ჩვეულებრივი მწვრთნელი წვრთნის. უკრაინელი ვალენტინ მელნიჩუკი აქამდე დიდი ავტორიტეტით ვერ დაიკვეხნიდა, თუმც ცხადია, ამიერიდან იგი აღარ იქნება რიგითი. მელნიჩუკს სამშობლოდან უკვე შემოუთვალეს, ჩამოდი და დღესვე ჩაგაბარებთ ეროვნულ ნაკრებსო. როგორც თავად ამბობს, მას უზომოდ გაუხარდა ეს შეთავაზება, მაგრამ უკრაინაში თავქუდმოგლეჯილი კი არ გაიქცა. მე ვერ მივატოვებ ჩემს მეგობარ და უზომოდ მებრძოლ პორტუგალიელებსო — თქვა მელნიჩუკმა, ლუზიტანიელებს ევროპის ჩემპიონატზე გაჰყვა და აგერ, სადამდე მიიყვანა.

ისრაელმა წინა ტურში ბერძნების ძლევით მყარი იმედი შეიქმნა და პორტუგალიასთან მატჩში ფავორიტადაც შეირაცხა. ბევრს ალბათ არც ახსოვდა, რომ შესარჩევ რაუნდში პორტუგალიელებმა ევროპის ჩემპიონატის საგზური სწორედ ებრაელებს აართვეს. შარშან აგვისტოში ეს გუნდები ერთ ჯგუფში იყვნენ და ლუზიტანიელებმა აღთქმული მიწის შვილები შინაც დაამარცხეს და სტუმრადაც. პორტუგალიამ მაშინ ყველა გააოცა, ისრაელმა კი დამატებით საკვალიფიკაციო ტურნირში გათამაშებული ბოლო საევროპო საგზური 10 გუნდთან ბრძოლაში მოიპოვა.



პაუ გასოლის ესპანეთმა რუსეთი უშანსოდ დაამარცხა

ახლა კი ვალენტინ მელნიჩუკის შეგირდებმა მიჯრით მესამედ დაამარცხეს ებრაელები — თან ისე, რომ ახლოაღმოსავლელებს წარმატების შანსი თითქმის არ ჰქონიათ. „ყველაზე ძალიან რისიც მეშინოდა, სწორედ ის მოხდა — თქვა ისრაელის მწვრთნელმა ზვიკა შერფმა — თამაში საშინლად დავიწყეთ, მეტოქემ ყველაფერში შევვზღუდა, რისი გაკეთებაც განვიზრახეთ."

პორტუგალიამ ფარქვეშ პირწმინდად დაჩაგრა ებრაელები — ოცით მეტი ბურთი მოუხსნა და სამწამიანში თითქმის არ შეუშვია. თავის მხრივ, ჟოაო გომეში და ფრანსისკო ჟორდაუ თავის გემოზე ნავარდობდნენ ებრაელთა სამწამიანში და ქულებიც უხვად მოქაფეს.

ტურის ყველაზე დრამატული ჯახი ბერძენ-ხორვატთა შორის მოხდა. ელინებმა ბოლო წამზე ვასილიოს სპანულისის სამქულიანით იმარჯვეს და ახლა ორივე ეს გუნდი საფრთხის წინაშეა. არადა, ხორვატია მესამე მეოთხედში 13 ქულას იგებდა და ეგონა, თავი ქუდში ჰქონდა, მაგრამ ბერძნებმა 24:7 გაქცევა მოაწყვეს და ახლა ბალკანელები აღმოჩნდნენ მდევრის როლში. თეოდორას პაპლუკასმა და დიმიტრიოს დიამანტიდისმა უიოწყალოდ დაბომბეს ხორვატიელების ფარი, რამაც ბერძნებს საფინალო სირენამდე 85 წამით ადრე 5-ქულიანი ლიდერობა მოუტანა.

ხორვატია ამხელა უპირატესობის განიავებამ არ გატეხა, დენი უკიჩისა და მარკ პოპოვიჩის მეოხებით ანგარიშიც გაათანაბრა, მაგრამ საბერძნეთის ფარქვეშ შესასვლელად დრო აღარ რჩებოდა და სპანულისის განწირულმა სამქულიანმა ხორვატები დაამწუხრა.

„ჩვენ ეს თამაში მაშინ კი არ წავაგეთ, როცა სპანულისმა ის ბოლო სამიანი ჩაგვიგდო, არამედ იმ მომენტში, 13-ქულიანი ლიდერობა რომ გავფლანგეთ" — სინანულით თქვა ხორვატთა ლიდერმა მარკ პოპოვიჩმა.

მიჯრით მოპოვებული 4 გამარჯვების შემდეგ პირველად დამარცხდა რუსეთი, თუმცა აქ გასაკვირიც არაფერია — მისი მეტოქე ხომ ნბაელებით შემაგრებული და მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი ესპანეთი გახლდათ. თუმც რუსებმა იბრძოლეს, პირველი მეოთხედი სათავისოდაც დაამთავრეს, მაგრამ გულმოცემულ მასპინძლებს სისწრაფეში ბოლომდე ვერ აჰყვნენ და ბოლო ათწუთეულმაც აზრი დაკარგა.

„ეს იყო მნიშვნელოვანი გამარჯვება — თქვა ესპანელთა ვერცხლისწყალა გამთამაშებელმა ხუან ნავარომ — რუსეთი უხერხული მეტოქეა და მის წინააღმდეგ თამაში ურთულესია. მათ ძალიან დაბალანსებული გუნდი ჰყავთ, შორიდანაც კარგად ესვრიან და მეფარეებიც საკმაოდ მოძრავნი არიან."

„ტორონტო რეპტორზის" გამთამაშებელმა ხოსე კალდერონმა მეორე მეოთხედში იძალა, როცა ტყუპი სამქულიანით რუსეთის მწყობრი და ზონური დაცვა აბურდა. ამის შემდეგ ხელ-ფეხი გაეხსნა ამ ჩემპიონატზე ცოტა მიძინებულ პაუ გასოლს და რუსთა ფარქვეშ გამაგრდა.

რუსების დამარცხებით ესპანეთმა პირველი ადგილი დაიბრუნა და ბოლო ტურში ისრაელს ხვდება. ჯგუფში გამარჯვება მეოთხედფინალში შედარებით სუსტ მეტოქესთან თამაშის საწინდარია და მასპინძლებიც ამას ეშურებიან.

**ირაკლი ბერტაია**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 4 | 3 | 1 | 323:268 | 7 |
| რუსეთი | 4 | 3 | 1 | 298:255 | 7 |
| ხორვატია | 4 | 2 | 2 | 328:313 | 6 |
| საბერძნეთი | 4 | 2 | 2 | 268:281 | 6 |
| ისრაელი | 4 | 1 | 3 | 287:335 | 5 |
| პორტუგალია | 4 | 1 | 3 | 283:335 | 5 |

**F ჯგუფი**

**იტალია 84:75 თურქეთი**
**ლიტვა 88:73 საფრანგეთი**
**გერმანია 47:77 სლოვენია**





# ასაფას აბსოლუტი

„დღეს მე შევძელი დამემტკიცებინა, რომ ასაფა დაბრუნდა" — მსოფლიო რეკორდსმენის ამ სიტყვებში ზღვა სიამაყე იგრძნობოდა. ასაფა პაუელს მართლაც ბევრი ჰქონდა დასამტკიცებელი, აღსადგენი ჰქონდა ორი კვირის წინ ოსაკას მსოფლიოს ჩემპიონატზე ტაისონ გაისთან 100-მეტრიან გარბენში შელახული სახელი.

ასაფა საბოლოოდ ალბათ მაშინ დამშვიდდება, როდესაც ტაისონ გაის გვერდით დადგება და 100-მეტრიან ბილიკზე მას ზურგს აჩვენებს, მანამდე კი მან მსოფლიოს და ისევ და ისევ საკუთარ თავს დაუმტკიცა, რომ დედამიწის ზურგზე უსწრაფესი ადამიანია და თავისივე მსოფლიო რეკორდს კარგა გვარიანი დროის ნაწილი ჩამოაჭრა.

2005 წელს პაუელმა 100 მეტრი 9,77 წამში გაირბინა და ტიმ მონტგომერის რეკორდს 0,01 წამი მოაკლო. 2006, მისთვის მართლაც ზღაპრული წელს, პაუელმა კიდევ ორჯერ აჩვენა 9,77 შედეგი და მაშინ, როდესაც კაცობრიობის გონებაში თანდათან ჩაჯდა აზრი, რომ მამაკაცის სისწრაფის მაქსიმუმი სწორედ ეს 9,77 წამია, ასაფამ სასწაული მოახდინა.

ცენტრალურ იტალიაში მდებარე პატარა ქალაქ რიეტიში გრან პრის სტატუსის მქონე ტურნირზე ბევრი სახელოვანი მძლეოსანი შეიყარა და იქ იყო ასაფაც. მან ეს გმირობა ფინალში კი არა, საკვალიფიკაციო გარბენში ჩაიდინა, როცა აჩვენა არაადამიანური დრო — 9,74 წამი! თანაც ერთი წამით გაიაზრეთ მისი ნათქვამი: „დღეს მე 9,70-ზე ნაკლებშიც შემეძლო გარბენა, ვთქვათ 9,68 წამში."

მის ნათქვამში არაა ტრაბახის მისხალიც კი, რადგან მთელმა ქვეყანამ ნახა, ფინიშის წინ როგორ შეანელა იამაიკელმა ფეხი — ალბათ მან ეს რეზერვი რამე უფრო დიდრონი ტურნირისთვის შემოინახა და მისგან კიდევ უნდა ველოდოთ ახალ რეკორდს.

**კოტე ყორშია**


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი ბერტაია, ბაჩო ხვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge